№ 2925
ხუთშაბათი
6 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2925
ხუთშაბათი
6 ოქტომბერი

[illegible]: ელიზავეთში—6მ., „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანკის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакціи „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს"
გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდ-ძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
მ. და ი. მანდლ
მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—3)

ეკატერინა სვიმონის ასული, ელენე გიორგის ასული და პეტრე ბარამის ძე ნაცვლიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ქმრისა, მეორე მამისა და მესამე—ძმის
გიორგი ბარამის ძის ნაცვლიშვილისას.
დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი დილის ცხრა საათზე სასაფლაოს ეკლესიაში. გამოსვენება ავჭალის ქუჩა, აჯამეთის შესახვევი ბადრიძის სახლი.
(1—398—1)

მგზავრების საყურადღებოდ
ვაცხადებ, რომ ენკენისთვის 25-დან სად. ქარელსა და დაბ. ცხინვალს შუა მუშაობს ყოველ დღე
დილიჟანები
ქარელიდან გადის ნაშუადღევს 1 საათზე, უკანვე ბრუნდება დილის 8 საათზე.
(5—396—2) [illegible] გ. ტრაპაიძე.

დ. ყვირილაში
ქალების კერძო სასწავლებელში,
კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, გაიხსნა მე-4 კლასი. სწავლა დაიწყება 5 ოქტომბრიდან. მოწაფეები მიიღებიან 20 ოქტომბრამდის. (1—1)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯალოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
ა. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.
ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ბ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგეობით. სტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—18)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. [illegible] კირკის და [illegible] მთავრის ქუჩებისა სახლი [illegible] № 11.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ.)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (80—22)

ექიმი
ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გაშინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 საათ. და საღამოთი 5—7 საათზე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—871—6)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—6-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევის ქ. ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—868—10)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 საათ. და საღამოობით 5—6 ს. კოჩუბეევის ქუჩ. № 28 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—15)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სვამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ. 80—11)

უკრაინელთა მიტინგი

გაიმართა უკრაინელთა მიტინგი, თავისუფალი და ნებადართული მიტინგი, რომელსაც ცხრა ათასზე მეტი კაცი დაესწრო. ეს იყო 28 სექტემბერს პეტერბურგში. დამსწრეთა შორის იყვნენ: სტუდენტები, მუშები, ინტელიგენტები, ერთი სიტყვით—უკრაინის ხალხის ყველა წარმომადგენელნი, რომელნიც-კი პეტერბურგში ცხოვრობენ. რა სთქვეს და რა დაადგინეს მალოროსებმა ამ მიტინგზე, რა საჭირბოროტო საგანი წამოაყენეს წინ,—ეს დიდათ საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის, რადგან უკრაინაც ისეთივე მოძულებული „ოკრაინა" იყო რუსეთის „ძველ რეჟიმისათვის", როგორც ქართველები, სომხები, პოლონელები და სხვანი იყვნენ და ჯერაც არიან. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მიტინგს დასწრებიან ყველა პარტიებისა და მიმართულების წარმომადგენლები: ნაციონალისტებიც, ს.-დემოკრატებიც და სხვა უკიდურეს პარტიების წარმომადგენელნიც. ჩვენ, ქართველებს, ვერ წარმოგვიდგენია, რა ჰქონიათ საერთო ასეთ სხვა და სხვა ელემენტებს, როგორიც არიან ნაციონალისტები და ს.-დემოკრატები, რატომ არ გაუსრესიათ ერთმანეთი და როგორ მოუხერხებიათ ერთის საზოგადო რეზოლიუციის მიღება?!

პეტერბურგის გაზეთები ასე გადმოგვცემენ მიტინგის ამბავს: თავმჯდომარის არჩევის შემდეგ დაიწყო სიტყვების წარმოთქმა. პირველმა ორატორმა აღნიშნა, ეს კრება პირველი მიტინგია რუსეთში უკრაინელებისა 250 წლის განმავლობაში, ე. ი. მას შემდეგ, რაც უკრაინა რუსეთს შეუერთდა. უკრაინელებს მხოლოდ ეხლა მიეცათ შეძლება ხმა მაღლა აღნიშნონ თავის სამწუხარო მდგომარეობა და დაასახელონ თავისი საჭიროებანიო. ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა რეფერატი „გენეზისი ავტონომიურ მოძრაობისა უკრაინაში". რეფერენტის სიტყვით, უკრაინაში ავტონომიური აზრი კარგა ხანია დაიბადა, მაგრამ გაძლიერდა მე-XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ნაციონალურმა მოძრაობამ დემოკრატიული მიმართულება მიიღო. ჯერ მოძრაობა [illegible]ბში დაიბადა, შემდეგ უფრო და უფრო გავრცელდა ქვეყანაში. მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლებად გადაიქცნენ ცნობილნი შევჩენკო, კოსტომაროვი, კულიში და სხვანი, რომელთაც დააარსეს ეგრედ წოდებული „კირილე-მეფოდის ძმობა". ამ პატრიოტულ საზოგადოების მიზანი იყო ქადაგება ეროვნებათა თანასწორ-უფლებისა, წოდებათა მოსპობისა და უკრაინის ავტონომიისა. დასასრულ რეფერენტმა გამოსთქვა იმედი, რომ უკრაინის ხალხი ეხლა მედგრად შეუდგება მუშაობას თავის ეროვნულ უფლებათა მოპოვებისათვის... სხვა ორატორებმა დაახასიათეს უკრაინელთა თანამედროვე მდგომარეობა, მათი ენის დევნა, მათ ეროვნულ უფლებათა უარ-ყოფა რუსეთის საზოგადოებისაგან და სხვა. უკანასკნელი ორატორი კი დაწვრილებით შეჩერდა უკრაინაში არსებულ სხვა და სხვა პარტიების მოღვაწეობაზე. იმის სიტყვით, მალოროსთაც ბევრი სხვა და სხვა პარტიები ჰყოლიათ—ბურჟუაზულიცა და სოციალისტურიც, ლიბერალურიც და რადიკალურიც. ყველა ამათი წარმომადგენლებიც ყოფილან მიტინგზე. მიუხედავად ასეთის სხვადასხვაობისა, უკრაინელთა მიტინგს ერთი რეზოლიუცია მიუღია ერთხმად, წინააღმდეგობა არ აღმოუჩენიათ არც „ნაციონალისტებს", არც „დემოკრატებს", არც „სოციალისტებს"; ნამეტურ საკვირველია (ჩვენთვის, ქართველებისათვის, რასაკვირველია), რომ უკრაინთა „დასელებს" ავტონომიისა და ეროვნულ უფლებათა წინააღმდეგ არაფერი უთქვამთ!...

აი თვით რეზოლიუციაც: „ჩვენ, უკრაინელები, 28 სექტემბერს პირველად შევიკრიბენით პეტერბურგს და დავადგინეთ შემდეგი: რადგან საშობლო ენის ხმარება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ძლიერი იარაღია ერის ეკონომიურად და კულტურულად განვითარებისათვის; რადგან უკრაინას, როგორც ეროვნულ ერთეულს, თავისი მრავალი ეკონომიური და სოციალური საჭიროებანი აქვს; რადგან არსებული რეჟიმი უზრუნველ ვერ ჰყოფს ჩვენს ეროვნულს უფლებათ, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ: 1) მოწვეულ იქმნას დაუყოვნებლივ დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარულის კენჭის ყრით; 2) დაწესდეს უკრაინის ავტონომია ფართო დემოკრატიულ—ფედერატიულ საფუძველზე".

ამ რეზოლიუციით უკრაინელებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რა მიაჩნიათ უახლოეს საჭიროებად როგორც მთელის იმპერიისათვის, ისე თავის ქვეყნისათვის. 1) დამფუძნებელი კრება—მთელის რუსეთისათვის, 2) ავტონომია—უკრაინისათვის, 3) ორივე დაწესებულება ფართო დემოკრატიულ საფუძველზე—ხალხისათვის,—აი მთელი დღევანდელი პროგრამმა უკრაინის ყველა პროგრესიულ ელემენტებისა, მთელი დღევანდელი პლატფორმა, რომელზედაც შეკავშირებას აპირობენ ყველა იქაური მებრძოლი ელემენტები.

და არც წააგებენ, რადგან დაქსაქსული მოქმედება სწორედ დღეს არ ვარგა...

გ.

ახალი ამბავი

◆ **ხვალ, 7 ოქტომბერს**, პანაშვიდი იქნება გადახდილი **29 აგვისტოს ქალაქის საბჭოში დაღუპულთა** სულის მოსახსენებლად. ხვალ სწორედ ორმოცი დღე სრულდება, რაც ეს უდანაშაულო მსხვერპლნი დაიღუპნენ.

◆ **ქართლიდან ყოველ დღე** ახალ-ახალი ამბები მოდის. ცხინვალის ხეობისა, ზემო ქართლისა და დუშეთის მაზრის გლეხობა ძალზე შეწუხებულია თურმე ეგზეკუციით. ის კომისიები, რომელთაც მემამულეთა ზარალის გამორკვევა აქვთ დავალებული, **სოფელ-სოფელ დადიან.** კომისიის წასვლის შემდეგ სოფელში ეგზეკუცია დგება ზარალის აღსადგენად. ვისაც არა გააჩნია-რა, უყიდიან საქონელს და ნივთებს.

◆ **ს. შინდისი** (გორის მაზრა). 24 სექტემბერს გვეწვია 60 დრაგუნი 2 ოფიცრით. სოფელს შეაწერეს დღეში 65 მანეთი. ადგილობრივი მედუქნე არჩილ მარნაშვილი აძლევს ჯარს ყველაფერ სანოვაგეს და სამაგიეროდ სოფელი აძლევს მას 65 მანეთს. ხალხმა გაიგო თუ არა, ეგზეკუციის ჩაყენებას გვპირობენო, ნახევრად დაუმწიფებელი ყურძენი ვენახში ჰაიჰარად მოჰკრიფა და დასწურა. მეორე დღეს გვეწვია ეგზეკუცია. ოფიცრები თხოულობენ ასის და ათის თავებს და აგიტატორებს. ამასთან ყველას გვარების სია ხელში აქვთ. სანამ ყველა ამათ არ მოგვცემთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო.

◆ უმაღლესის ბრძანებით, იუსტიციის მინისტრს დავალებული აქვს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, შეუდგეს იმ ზომების შემუშავებას, რომელიც შეეხება რუსეთის იმპერიის სამოსამართლო საქმეში ერთიანობის შეტანას. **მომავალი სასამართლო ერთნაირი უნდა იყოს ყველა წოდებისათვის.** ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იუსტიციის მინისტრს უთხოვნია კავკასიის ნამესტნიკისათვის, საჩქაროდ შეატყობინოს რიცხვი იმ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებისა, რომელიც 1903 და 1904 წლების განმავლობაში შესულა განსახილველად ამიერ-კავკასიის სასოფლო, სახალხო და უფრო მაღალ დაწესებულებებში. ნამესტნიკის კანცელარიას ეხლახან მოწერილობანი დაუგზავნია ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისთვის და უბრძანებია, დაუყოვნებლივ წარუდგინონ აღნიშნული ცნობები.

◆ 5 ოქტომბრისათვის ტფ. საგუბერნიო საპატიმროსა და მეტეხის ციხეში იყო სულ 677 პატიმარი.

◆ როგორც ვწერდით, ტფ. **ქართულ გიმნაზიის მასწავლებლები**, თანახმად განცხადებისა, სამსახურიდან გადადგნენ. გამგე კომიტეტმა დაადგინა, ეხლავე შეუდგეს მასწავლებელთა არჩევას. არჩევანი დასრულდება 15 ოქტომბრამდე. მასწავლებლები შემდეგ კომიტეტთან ერთად აირჩევენ გიმნაზიის გამგეს.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლის საზოგადოებაში დღემდე არა ყოფილა განაწილებული ამ წლის **სახელმწიფო და სასოფლო** გადასახადები. ამ გარემოებას იმითი ხსნიან, რომ ბევრ სოფელში მამასახლისები და სხვა მოხელენი აღარ არიან, უამისოდ-კი სამაზრო ადმინისტრაცია ვერა გაურიგებია-რაო.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობა ეხლა, რაკი **საბჭოს სხდომები აღარ აქვს**, ყველა საქმეს, რომელიც საბჭოს უნდა განეხილა, პირდაპირ გუბერნატორს უგზავნის.

◆ ტფ. **საბჭოს ხმოსნებად ნამყოფთ** აზრადა აქვთ კიდევ გამართონ თათბირი გარეშე კაცთა და გაზეთების თანამშრომელთა დაუსწრებლად.

◆ როგორც გამოძიებით გამოირკვა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე **მერძევე წვერაძის მეუღლის მკვლელი** ყოფილა საპოლიციო უბნის ზედამხედველი ვინოგრადსკი, რომელიც პასუხის გებაში იქნება მიცემული.

◆ ტფილისის მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ბეითლებისა, მაზრის ექიმებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა. კრებამ შეიმუშავა **პროექტი ახალ საბეითლო წესებისა.** აქამდე, როდესაც სოფლებში საქონლის ჭირი გაჩნდებოდა, საკმაო იყო მცირე ეჭვიც-კი, რომ ბეითლები საქონლის ხოცვას შესდგომოდნენ. ბეითლებმა საჭიროდ სცნეს ასეთის წესის სრულიად გაუქმება.

◆ როგორც გუშინ ვწერდით, **გადაწყდა საქმე იმ მუშებისა**, რომელთაც რკინის გზის ტფილისის სადგურზე ვაგონების დატვირთ-გადატვირთვა აქვთ ჩაბარებული. ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ მუშების საქმე მთელი სამი თვე გაჭიანურდა. მუშებმა რკინის გზას წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელიც მხოლოდ ეხლა დააკმაყოფილეს. დატვირთ-გადატვირთვის საქმე წინად იჯარადრის ხელში იყო. რკინის გზის გამგეობამ იჯარადარი და მუშები დაითხოვა და საქმის წარმოებას შინაურულად შეუდგა. მხოლოდ ეხლა, რაკი ვერა გააწყო-რა, საქმე ხელ-ახლა გადასცა იჯარადრებს—ასმბაძეს და აკოფოვს. მუშებმა თავიანთი მოთხოვნილებანი იჯარადრებს წარუდგინეს და ამათაც ყველაფერი მიიღეს. აქვე მოგვყავს თვით მოთხოვნილებანი:

1. ცხრა საათის სამუშაო დღე
2. ჯამაგირად 30 მანეთი თვეში განურჩევლად ყველას.
3. მუშების მიღება და დათხოვნა მუშებისავე ხელში იყოს.
4. წელიწადში ერთი თვის შესვენება ჯამაგირით.
5. წელიწადში ოთხი სამგზავრო მუქთი ბილეთი.
6. დაზღვევა უბედურ შემთხვევებისათვის.
7. მოისპოს კვირაობით მუშაობა.
8. ექიმი, საავადმყოფო, წამლობა ერთი თვის ჯამაგირით.
9. ავადმყოფობის დროს სამ თვეს ჯამაგირი.
10. მუქთად ბინა, ნავთი და შეშა.
11. ძველი მუშების მიღება [illegible]

◆ ამ ოთხიოდე დღის წინად ტფ. მაზრის უფროსს აცნობეს, რომ დილმის ახლო-მახლო ადგილებში **ყაჩაღთა ბრბო გაჩნდა**, რომელიც გამვლელ-გამომვლელთა სძარცვავსო. მაზრის უფროსმა ყაჩაღების დასაჭერად ასამდე ყაზახი წაიყვანა დილომს. ყაზახებმა სოფლის ხარჯზე ერთი დღე-ღამე დაჰყვეს. შემდეგ მაზრის უფროსი მცხეთისაკენ წავიდა, იქიდან შემოუარა სოფლებს და ადგილებს, მაგრამ ყაჩაღთა ბრბო ვერსად ვერ ნახა. მაზრის უფროსი და ყაზახები გუშინ-წინ დაბრუნდნენ.

◆ უკვე ვწერდით, რომ თელავის მაზრის სოფლებ ფშაველის და ყარაჯალის **გლეხებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა** სახელმწიფო ადგილების გამო. იქაურ მომრიგებელ შუამავალს მოხსენება გაუგზავნია საგუბერნიო მთავრობისთვის. სხვათა შორის, შუამავალს უცნობებია, რომ ფშაველის გლეხობა სახელმწიფო ადგილებიდან ხმარობს სულ 10,194½ დესეტინას, რაშიაც მარტო გასამიჯნავ ქირას 1900 წლიდან ყოველ წლივ იხდის ხუთას ცხრა მანეთს. ამ ხარჯის გარდა სახაზინო პალატა ახდევინებს თურმე ამ გლეხებს, როგორც საადგილ-მამულო გადასახადს, ყოველ-წლივ 3200 მანეთზე მეტს.

◆ გაზეთებში დაბეჭდილი იყო, ვითომ მთავრობას განკარგულება მიეხდინოს, რომ ტფილისის **ქუჩებში გამვლელ-გამომვლელნი სალდათების ნაცვლად პოლიციელებმა** გაჩხრიკონ ხოლმეო. ეხლა პოლიცმეისტერი აცხადებს, რომ ასეთი განკარგულება არავის მოუხდენიაო.

◆ **ბორჩალოს მაზრაში** არის მიწის მზომელთა კომისია „არუხლოს დაჩის" ადგილების გასაყოფად და აგრეთვე მახლობელ სოფლების გლეხთა საკუთარ და სახელმწიფო მიწების გასამიჯნავად. გლეხთა ინტერესების დასაცავად ამ კომისიაში საგუბერნიო მთავრობას დაუნიშნავს ბორჩალოს მაზრის მეორე ნაწილის მომრიგებელი შუამავალი თავადი აბხაზი.

◆ **ბალახანა-საბუნჩაში** უკვე შეუდგნენ პოლიციის რეორგანიზაციას. პოლიციას იქ ნავთის მწარმოებელთა საბჭო შეინახავს. პოლიციელებს გადიდებული ჯამაგირი ექნებათ. ბოქაულებს, მაგალითად, დაუნიშნეს ორას-ორასი თუმანი, უბნის ზედამხედველებს—900 მან., უმცროს პოლიციელებს (გოროდოვოებს)—420 მან.

◆ **ბათუმის ქალაქის სათათბიროს** თავის წარმომადგენლად ნამესტნიკის საბჭოში აურჩევია გ. ჟურული (ვოზ.).

◆ „ვოზ."-ს სიტყვით, ბათუმში 17 წლის ყმაწვილს ზედის **ციმბირის ჭირი** გაჩენია.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავად ნამყოფი **ქ. ვერმიშევი პეტერბურგს წავიდა.**

◆ მეოთხე დღეა, რაც საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სკოლის **მოსწავლენი გაიფიცნენ.**

◆ ტფ. მეორე ნაწილის გამომძიებელმა მოსთხოვა სასინოდო კანტორას, აცნობოს ნამდვილი საზღვრები **კანტორის ხაზინადრად ნამყოფის არდაზიანის მამულებისა,** რომ ამ მამულების გაყიდვა ან დაგირავება აეკრძალოს.

◆ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში პროფ. სოკოლოვი ამ შემოდგომიდან შეუდგა **ლექციების კითხვას საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესახებ.**

◆ გუშინ, 5 ოქტომბერს, ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა სრულიად რუსეთის **ჯარის ინსპექტორი გენერალი გრიპენბერგი.**

◆ ხმოსნებად ნამყოფთ ამირხანოვმა და ნ. ი. თამამშევმა, **რომელთაც ხმოსნის თანამდებობის დასაბრუნებლად შემუშავებულ რეზოლუციას ხელი მოაწერეს, თავიანთი გვარები ხელმეორედ ამოშალეს და განაცხადეს, შეცდომაში შეგვიყვანესო.**

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის კონტროლერი სამსახურის საქმეებისა გამო ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრება.**

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში კახეთის ქუჩაზედ 4 ოქტომბერს ვიღაც უცნობთაგან დაჭრილი ნახეს ტფილისის მოქალაქე ვასილ გოდაროვი. გოდაროვს ორი სასიკვდილო ჭრილობა აქვს და სამი ცეირე. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ ამ დღეებში სოფელ საკორინთლოში ერთი ოსი თავის ვენახში მუშაობდა. მიჯნიდგან გადასწვდომოდა და მეზობლის ვენახში ერთი მტევანი ყურძენი მოეწყვიტა, პატრონს ეს დაენახა და ეთქვა, რომ სოფელს გამოვუცხადებო. სულ არ გასულა ამის შემდეგ ერთი საათი, რომ ის ოსი თავის ვენახში ხეზედ თოკით დამხრჩვალი იპოვნეს.

◆ 4 ოქტომბერს რიყის ქუჩაზედ მეეტლე მაზადი-ორუჯ-ისმაილ-ოღლი ისე ძლიერ მიაჭენებდა ცხენებს, რომ მიკირტიჩ მარკოსიანცს დაატაკა და ძლიერ დააზიანა. დაზიანებული მიხეილის სავადმყოფოში გაგზავნეს.

პარიზის კომუნისტთა აჯანყების შესახებ *)

ამ მოკლე ხანში ცენზორის მუხრუჭისაგან განთავისუფლდა და წიგნების გამომცემელ ფირმის „ბურევესტნიკისაგან“ დაიბეჭდა ამ სათაურით: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში (1870—1871 წ.). სიტყვა, ანუ ანგარიში კარლ მარქსისა, რომელიც იმან პარიზის მოძრაობის საერთაშორისო მუშათა ასოციაციის უმთავრეს საბჭოს წარუდგინა.

[illegible] აქვს ფრ. ენგელსის წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორისაგან მოკლედ მოთხრობილია საფრანგეთის ხალხის ამბოხება მას შემდეგ, როცა ნაპოლეონ მე-III-ის იმპერია სასტიკად დამარცხდა სედანთან.

ენგელსი ანალიტიურად იხილავს პარიზის კომუნათა მოქმედებასა და იმის ისტორიულს მნიშვნელობას. უნდა შევნიშნოთ, რომ უგვიანესმა ისტორიულმა გამოკვლევამ sine ira et studio სრულიად უარჰყო კომუნარების მოძრაობაზე წარმოდგენა, როგორც მოძრაობა კომუნისტური, და გვაჩვენა, რომ ამ მოძრაობის თანამედროვე ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა, კომუნისაგან ბრაზმორეულებმა და აღშფოთებულებმა, შეცდომა ჩაიდინეს და კომუნალისტური მოძრაობა კომუნისტურად გარდაჰქმნეს. პარიზის მოძრაობა იქითკენ კი არ იყო მიმართული, რომ საწარმოვო საშუალებათა სოციალიზაცია მოეხდინა, არამედ იმისაკენ, რომ, პარიზის მსგავსად, მთელს საფრანგეთს „ობშჩინები“ (კომუნები) მოეწყო. პარიზის კომუნა იმის შედეგი იყო, რომ მუშა დამოუკიდებლად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე იმ დროს, როცა წინანდელ რევოლიუციებში 1789, 1830 და 1848 წლებში პროლეტარი „ბურჟუაზიის სასარგებლოდ იბრძოდა“.

მუშათა ამ აქტიურს როლს ენგელსიც ხაზს უსვამს და 1870—71 წლების მოძრაობას სხვას არას უწოდებს გარდა იმისა, რომ ეს პროლეტარიატის დიქტატურა იყო, სხვაგვარად რომ ვსთქვათ, ხანმოკლე განხორციელება იმისი, რასაც ყოველის ქვეყნის სოციალდემოკრატია ესწრაფვის.

კომუნის წევრები ორ დასად გაიყო,—ბლანკისტები, ე. ი. თავგადადებულ რევოლიუციონერის ოგიუსტ ბლანკის მიმდევრები, და პრუდონისტები. მხოლოდ ცოტანი იცნობდნენ გერმანულ სამეცნიერო სოციალიზმს. ამ უცოდინარობის წყალობით კომუნამ რამდენიმე თვალსაჩინო შეცდომა ჩაიდინა...

სარევოლიუციო მოძრაობა პარიზში აუცილებელი შედეგი იყო ნაპოლეონ მე-III-ის რეჟიმისა. იმის სამხედრო-პოლიციური რეჟიმი, რომელიც ყოველსავე ცოცხალსა და პატიოსანს ამ მხრივ სულს უხუთავდა, სამშობლოდან ასახლებდა საუკეთესო მამულიშვილებს, რომელმაც იმდენი ჰქნა, რომ ყოველი წოდება აამხედრა და გაბრაზა თავის წინააღმდეგ, ეს რეჟიმი დღითი-დღე ჰკარგავდა ფეხქვეშ ნიადაგს. დასასრულ ნაპოლეონ მე-III-ემ რომ მკვიდრთა ასეთი უკმაყოფილება დაინახა, იფიქრა ომს ავუტეხ სხვა სახელმწიფოს და ამით საზოგადოების ყურადღებას სხვა მხარეს მივაქცევო, მერე ზედი-ზედ გავიმარჯვებ (რომ გაიმარჯვებდა, ეჭვი არ ჰქონდა) და ამით დავავიწყებ ყოველსავე შინაურს უწეს-რიგობას და უკმაყოფილოთა ღაღადისს ჩავახშობო.

მაგრამ საქმით სულ სხვა გამოვიდა. პოლიციურ-ბიუროკრატიულ წეს-წყობილების მეოხებით ადმინისტრატიულ დაწესებულებებში არას გზით ადგილს არ აძლევდნენ დამოუკიდებელსა და პატიოსანს ადამიანს. სამარცხვინო რეჟიმმა, რომელიც ქრთამსა და მოსყიდვაზე იყო დაფუძნებული, ქურდობამ, მტაცებლობამ და დაჩაგვრამ შესაფერი მხედართ-მთავარნიც შექმნა. ესენი უმთავრესად სხვა და სხვა ინტრიგანები იყვნენ, რომელთაც ნაცნობობისა და ქრთამის [illegible]ბულთა მფარველობით მიეღწიათ მაღალ საფეხურამდე, ერთის სიტყვით, გარდა სწავლისა, ცოდნისა და ნიჭისა ყოველ გვარი ზომა ეხმარათ თავიანთ საწადელის მისაღწევად. ამ გენერლებმა, რომელნიც სასტუმრო დარბაზებსა და სასახლის ინტრიგებში მეტად გამარჯვებულნი და გავარჯიშებულნი იყვნენ, ომის დროს მხოლოდ ის-ღა მოახერხეს, რომ სამარცხვინოდ გარბოდნენ ბრძოლის ველიდან ან არა და მტერს ჰნებდებოდნენ და თავის სამშობლოს პრუსიელთა ფულზე ჰყიდიდნენ. სედანი, რომელთანაც საფრანგეთის მხედრობა დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა მტერს, ღირსეული დაგვირგვინება იყო ნაპოლეონ მე-III-ის რეჟიმისა.

4 სექტემბერს 1870 წელს პარიზის მუშებმა რესპუბლიკა გამოაცხადეს.

ამ დროიდან იწყებს მარქსი თავის „მოხსენებას“. იმისი გენიოსური კალამი ცოცხლად ხატავს იმ დროის მოღვაწეთ. მარქსი მთელის თავისის ძალით გესლიანად დასცინის ნაპოლეონის მმართველობის უმთავრეს მოღვაწეს, რომელიც ცხოვრების პირობების მიხედვით სცვლიდა თავისს აზრსა და შეხედულებას, და რომელიც არავითარს სიყალბეს არ ერიდებოდა იმისთვის, რომ მთავრობა როგორმე თავის ადგილს შერჩენოდა. აი, როგორ ახასიათებს ტიერს მარქსი: „სახელმწიფო წვრილმან ცუღლუტობის მცოდნე, არტისტი გაიძვერობასა და გამცემლობაში... ყოველთვის მზა რევოლიუციის მოსახდენად როგორც-კი ადგილს დაჰკარგავს, ხოლო სისხლში ჩაახრჩობს ამ რევოლიუციას, თუ ადგილი ისევ ჩაიგდო ხელში. იდეის ნაცვლად წოდებრივ ამპარტავნობით გამსჭვალული, გულის ნაცვლად დიდების მოყვარეობით დაჯილდოვებული, ისევე უწმინდური კერძო ცხოვრებაში, როგორც საზოგადო საქმეში“...

სხვა გვარი მოღვაწე არც შეიძლებოდა ყოფილიყო ნაპოლეონ მე-III-ის რეჟიმის დროს.

მხდალი მთავრობა, რომელიც ვერსალში გადაიხვეწა, არავითარ საზიზღრობას არ ერიდებოდა, რომ ეს ამბოხება ჩაექრო. მთავრობამ, რომლის წარმომადგენლადაც ტიერი იყო, მოლაპარაკება გამართა ბისმარკთან, რომელიც ამ დროს პარიზს ერტყა. ტიერმა ბისმარკთან შეთანხმება მოახდინა და მიჰყიდა საფრანგეთი იმიტომ, რომ გერმანელებს ტყვე სალდათები განეთავისუფლებინათ. ამათის შემწეობით-კი პარიზის აღებას ლამობდა ნაპოლეონის მთავრობა. პარიზის მუშები თოფ-იარაღით იცავდნენ პარიზს პრუსიელთა მხედრობისაგან იმ დროს, როცა ვერსალის მთავრობა საფრანგეთს ჰყიდიდა... გმირულ წინააღმდეგობის შემდეგ მუშები დაჰნებდნენ და გამხეცებულმა ბურჟუაზიამ სასაკლაო მოედანი გამართა: კომუნარებს ტყვიებით ჰგმირავდნენ ქუჩებზე, მთელ ბრბოებს ატუსაღებდნენ და ჯგუფ-ჯგუფად თოფებით ხოცდნენ, როგორც მეამბოხეთ. ყველა ეს მხეცური საქციელი ნათლად მოთხრობილია ძმათა პ. და ვ. მარგერიტების რომან „კომუნა“-ში, რომელიც ამას წინად სთარგმნეს რუსულ ენაზე.

მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, კომუნამ ბევრის რეფორმის მოხდენა მოასწრო. გააუქმა მუდმივი ჯარი და პოლიცია, მაგიერად დააარსა ეროვნული გვარდია, რომელშიაც ყველა ირიცხებოდა, ვისაც-კი იარაღის ტარება შეეძლო, ხოლო პოლიცია [illegible] კომუნის მორჩილ დაწესებულებად, რომლის გამოცვლა იმის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. კომუნამ გამოაცხადა სახელმწიფოსაგან ეკკლესიის განცალკევება და საეკკლესიო ქონების ჩამორთმევა; იმან დააწესა უდიდესი ჯამაგირი თავის მოხელეთათვის 6,000 ფრანკი; იმან დასწვა გილიოტინა, გამოაცხადა უსასყიდლო სწავლება სკოლებში.

სოციალურ რეფორმებიდან შეიძლება აღვნიშნოთ: პურის მცხობელთა ღამე მუშაობის აკრძალვა, სამუშაო ფასის დაკლების მოსპობა და ჯარიმების გაუქმება და გადაცემა ხალხთა ამხანაგობათათვის ყველა იმ სახელოსნოებისა და ქარხნებისა, რომელთა პატრონები გაიქცნენ. ამ უკანასკნელთ სასყიდელი უნდა მისცემოდათ.

ვერსალელთა გამარჯვებამ შესწყვიტა კომუნის მოქმედება.

დ—ა

მოსკოვის ამბები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი გამოიცვალა. იმის მუდმივ მყუდროებას არა ჩვეულებრივი დაღი დაესვა. გაფიცვამ თავისი წვლილი შეიტანა კმაყოფილად მყოფ მცხოვრებთა დღეთა დენაში. აი უკვე ხუთი დღეა, რაც გაზეთები არ გამოსულა. პეტერბურგის გაზეთებით საზრდოობს მოსკოვი, მაგრამ ვაი ამ საზრდოობას! თითო გაზეთს მეგაზეთეები ჰყიდიან 20—30—40 კაპ. სამკითხველოებში ტევა აღარ არის. ხალხი იძულებულია ითმინოს და აიცდინოს ამ გვარი მდგომარეობა. გაზეთებს მოკლებულმა მცხოვრებმა, თითქოს ქვეყნიერებას მოსწყდაო, აღარ იცის, რა ხდება ირგვლივ, ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში. სდუმს ამ მხრივ ხალხი, მაგრამ იგი სხვაფრივ სცოცხლობს. ეს რამდენიმე ათასი კაცი ეხლა ყველგან თამამად, თანასწორად დაიარება და ამასთან ერთად გაიძახის: „გაფიცვაა... ნუ მუშაობთ... მოითხოვეთ თქვენის ადამიანურ უფლებების დაკმაყოფილება და მაშინ გაუმარჯოს შრომასა“-ო.

აღარა მუშაობენ სტამბის მუშები, მეპურეები; ელექტრონის ტრამვაიც გაიფიცა, მხოლოდ აქა-იქ ტრამვაის ზოგიერთ ლიანდაგზე რბილად მიიზლაზნება ვეებერთელა, ორ სართულიანი ვაგონი.

თითქმის დარიც თანაუგრძნობს ამ გლოვას და თავისი თვალგადაუწვდენელი სივრცე ცისა შავი ძაძით დაუბურავს. ტყვიის ფერ ნისლს ქალაქი თავის ბურუსში გაუხვევია და არე-მარეს ოდნავ წვიმით რწყავს.

ხალხი დიდ მოძრაობაშია. ქალაქის სხვა-და სხვა ადგილას დიდი ყრილობებია. ბლომად შეგროვილი ხალხი აქა იქ აფრიალებს წითელ დროშას და გულიანად დასძახებს ხოლმე სიმღერას. მღერიან უმეტესად მარსელიეზას“. ერთბაშად გაჩნდებიან ყაზახები და გაჰფანტავენ ხალხს. კიდევ და კიდევ. ასეა საქმე და ბოლო მაინც არა სჩანს. თუ გაფიცულნი მაგრათ დგანან თავიანთ მოთხოვნილებაზე, არც პოლიციელები და ხულიგანები ივიწყებენ თავიანთ თანამდებობის ასრულებას. 26 სექტემბერს საღამოთი მთელი გროვა ამ ვაჟბატონებისა დაერია ქალაქის ერთ ადგილს, სახელდობრ „ტრუბნაია პლოშჩადს“ და გაანადგურა რამდენიმე მაღაზია, მიადგა ტურგენევის ბიბლიოთეკას და ფანჯრები ჩალეწა. ეს და ამგვარი მოქმედებანი სულ ძალად არის გამოწვეული, რათა ბოლოს მუშებს ნიში მო[illegible] სჩადიან და მყუდროებას არღვევენ. მე პირადად მოწამე ვიყავი ნამდვილ მუშების ბევრ ყრილობისა და გავკვირდი, რომ თვითონ მუშები შესანიშნავ წესრიგს და სიმშვიდეს იჩენენ. იყო ასეთი შემთხვევაც: ერთმა კაცმა—არ ვიცი მუშამ თუ ხულიგანმა,—მუშათა ყრილობიდან განიზრახა ფანჯრის ჩამტვრევა მაღაზიაში. ამხანაგებმა შეაჩერეს და თან დასძინეს —თავი დაანებე, ხულიგანი ხომ არა ხარ! ეგ იმათი საქმეაო...

აი ამგვარ შემთხვევებს ყველგანა აქვს ადგილი. მუშები იმდენად შეგნებულად მოქმედებენ, რომ ამგვარ ძალმომრეობას და სამკითხველოების განადგურებას ისინი არ იკადრებენ. ასეთის საქციელით ისინი დაამცირებენ თავიანთ ღირსებას და აკი არც სჩადიან! თუ სადმე ძალმომრეობა დაინახეს, მაშინ მიმართავენ ხოლმე ძალას. ამის მაგალითი იყო ის, რაც წინა წერილში მოგახსენეთ.

ამ რიგად უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ თვალწინ შეთანხმებული და გარკვეული მოქმედებაა მუშებისა. გუშინწინ საუკეთესო სტამბის პატრონმა სევენსონმა განცხადება გამოაკრა, რომ თუ ვინცობაა მუშები საღამოსთვის არ მიჰყოფენ ხელს მუშაობას, გამორიცხულად ჩაითვლებიანო. მაგრამ დღესაც არავინ გამოცხადებულა სამუშაოდ. ფილიპოვის პურის საცხობსა და საკანდიტეროში დღეს შეუდგნენ მუშაობას. ფილიპოვმა ყველაფრით დააკმაყოფილა ისინი.

წინა წერილში მქონდა მოყვანილი საერთო მოთხოვნილებანი სტამბის მუშებისა. წიგნების ასოთ-ამწყობნი თხოულობენ ყოველ ათას ასოზედ 23 კაპ., დღიურ ფასად სულ ცოტა 2 მ. და 70 კაპ., თვიურად კი 50 მანეთს. აქვე მოგვყავს მოთხოვნილებანი მეპურეებისა:

1. რვა საათის სამუშაო დღე და მოსპობა ყოველისავე ვაჭრობისა კვირა-უქმე დღეს; 2. მომატება ფასისა 50% და ჯამაგირის დარიგება თვეში ორჯელ; 3. წელიწადში ერთი თვით დათხოვა ჯამაგირის გამოუკლებლად; 4. სანიტარულად გაუმჯობესება შრომისა და საცხოვრებლებისა; 5. ავად მყოფობის დროს სამი თვის ფასის სრულიად ძლევა და პატრონის ფასით წამლობა; 6. აეკრძალოთ პატრონებს დაითხოვონ მოსამსახურენი სასამართლოს ნებადაურთველად. სასამართლო უნდა შესდგებოდეს: თანასწორ წარმომადგენელთაგან მუშებისა და პატრონის მხრივ; 7. აეკრძალოთ პატრონებს ამუშაონ ბალღები თექვსმეტ წელიწადზედ ნაკლებ ხნისანი; 8. წვრილი მებულკეები უნდა დაუქვემდებარონ ფაბრიკის ინსპექციას; უნდა დაწესდეს ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობა, რომელიც უნდა არჩეულ იქმნას მოსამსახურეთა და მუშათა შორის; 9. დაწესდეს მუშათა საპროფესიონალო კავშირების გამართვა; 10. თავისუფლება კრებებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა; უამისოდ არავითარი მუშათა კრებების გამართვა არ შეიძლება და, მაშასადამე, ვერც შეძლება გვექნება დავიცვათ მუშათა ინტერესები; 11. მოწვევა ხალხის წარმომადგენელთა საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით.

გუშინდელმა დღემ წყნარად ჩაიარა. მაგრამ სამაგიეროდ გუშინწინ სულ მთელი დღე ტვერის ქუჩა შეკრული იყო და ყაზახები დადიოდნენ.

დღეს-ც ჯერ-ჯერობით წყნარა მიდის საქმე. ვნახოთ რა იქნება მერე.

Al.

პატარა ფელეტონი

გმირებს გაუმარჯოს!

იქ, სადაც ქალაქის მამები ბრძნულად ბჭობდნენ „დიდ“ საქმეებზე, სადაც გაისმოდა ტფილისელ მირაბთა აღფრთოვანებული სიტყვები, სადაც სიტყვის ყუმბარებს სტყორცნიდნენ რუსეთის დაძველებულ სახელმწიფო წეს-წყობილებას, მოხდა საშინელი უბედურება: დაიღვარა უმანკო სისხლი, მსხვერპლად შეეწირა არა ერთი ნორჩი სიცოცხლე.

უბედურებამ თავს ზარი დასცა ქალაქის მამებს, აადუღა, ააშფოთა და... გმირებად გახადა. „სირცხვილია ბჭობა იმ ადგილას, სადაც ჯერაც არ შემშრალა სისხლი ქალაქის შვილთა; პატიოსნების ღალატია ხმოსნის სახელის ტა-

ფელეტონი

მანჯურიაში

მოვედით თუ არა მანჯურიაში, პირველად დაგვაბანაკეს სადგურ გუნჭულინის მახლობლად. საბანაკო ადგილი ძლიერ ცუდი გამოდგა; ახლო არ იყო არც წყალი, არც შეშა, გარშემო ყველაფერი [illegible]. ეს ადგილი წინად სხვა პოლკებს სჭერიათ და როცა აყრილან, ყოველგვარი უსუფთაობა ისე მიუტოვებიათ [illegible]. პირველ დღეს აქ ავად გაგვიხდა სამასი სალდათი; ორი მათგანი ამ დღესვე გარდაიცვალა. ექიმებმა მიზეზი ცუდ წყალს მიაწერეს. ყველას ერთგვარი ავადმყოფობა ჰქონდათ: ფაღარათი, გულის რევა, პირიდან [illegible]. ექიმების თხოვნით მეორე დღეს იქიდან აგვყარეს და ექვსი ვერსის მანძილზე გადაგვაბარგეს. ახალი ადგილი უფრო კარგი გამოდგა, თუმცა ავად აქაც ბლომად ხდებიან.

ამ დღეს, როდესაც ახალ ბანაკზე გადავდიოდით, გზაში წვიმამ მოგვასწრო. წვიმა სულ სამი ოთხი საათი მოდიოდა, გზები ისე ერთბაშად ატალახდა და აივსო წყლით, რომ ბარგის ურმები სულ გზაში დაგვრჩა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი პოლკის სალდათები და ცხენები მუშაობდნენ, მხოლოდ მეხუთე დღეს მოუყარეს ბარგს თავი. აქედან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რას წარმოადგენს მანჯურიის გზები წვიმიან დღეებში და რამდენად ძნელია ამ დროს აქ მგზავრობა. მთელი პოლკი ხუთ დღეს მოუნდა ექვსი ვერსტის გავლას.

გუნჭულინის მახლობლად და აგრეთვე ხარბინის ჩრდილოეთით გაშლილი ადგილებია, სამხრეთით კი მთა-გორიანი. ჰაერი ძლიერ თბილი და ნესტიანია. ერთბაშად რომ გამოგვედგოთ, თქვენი თავი ქვეშე იმერეთში გეგონებათ. აქაური ყანები დათესილია სიმინდით, ღომით, ლობიოთ, კარტოფილით, კანაფით, ფეტვით, გაოლიანით. გაოლიანი აქაური ცნობილი მცენარეა. ის არის, რასაც ჩვენში ჯიქურას ეძახიან. იმერეთში ეს მცენარე იზრდება, იმისგან მხოლოდ ცოცხს აკეთებენ, აქ კი ბევრ ნაირად ხმარობენ. თესლს, რომელიც ბრინჯს წააგავს, ფქვავენ და სჭამენ, როგორც პურს, თითონ ჩალისაგან აკეთებენ ჭილოფებს, ქუდებს, დობეებს, ხურავენ სახლებს და აგრეთვე ჰკვებავენ შინაურ საქონელს. ბოსტნებში აქ სთესენ კიტრს, საზამთროს, ბადრიჯანს, პომიდორს, ხახვს, პრასას, კვახს, კომბოსტოს. უფრო მომეტებულად სთესენ ღომსა და კაოლიანს. ღომი ნახევარ საჟენამდის იზრდება და ძლიერ დიდ თავ-თავს იკეთებს. გაოლიანი სიმაღლით საჟენზე მეტია. გასაკვირველია, რომ ყველა ნათესს ჩინელები საუცხოოდ უვლიან, გეგონებათ, თითოეული მარცვალი ხელით რიგრიგად ჩაუწყვიათო. შეგიძლიანთ ისე გაიაროთ, მაგ., ფეტვისა და ღომის ყანებში, რომ ერთი ძირი ფეხით არ წაახდინოთ.

აქაური სოფლები ძალიან პატარებია. ზოგ სოფელს, მაგ., სამი ოთხი მოსახლე შეადგენს; სოფლები ერთი ერთმანეთზე კარგა მანძილზეა დაშორებული. გუნჭულინის მახლობლად ძალიან ბევრი სოფელი მიუტოვებიათ ჩინელებს და სხვაგან გადასახლებულან, მათ სახლ-კარზე დღეს დაბინავებულან სალდათები, რომელნიც დარჩენილან, ისინიც დღეს იწევენ და მოუთმენლად ელიან ომის გათავებას. მათი ბაღები, ბოსტნები, ყანები და თითქმის ყველაფერი განადგურებულია სალდათებისაგან; ჰპარავენ და ართმევენ ყველაფერს, რასაც კი მოასწრებენ. ერთმა აფიცერმა, რომელიც უკვე სახლში მიდიოდა, ირკუტსკში მითხრა, გირჩევ, როგორც მოხვიდე, ბარგის საზიდად ცერი იყიდო, და თუ არა, პირდაპირ შეგიძლიან ჩინელს წაართვა, წაიღე და მერე გიჩივლოსო; მე და ჩემმა ამხანაგმა გავგზავნეთ ჩვენი „მოდღევალე დენშჩიკები“ და ორივეს მოგვიყვანეს ვირებით, სადაც ჩინელებისთვის დამე მოუპარიათ. ამისთანა მაგალითი მართლაც, როგორც თითონ დავრწმუნდი, ხშირი ყოფილა აქ. ამის შემდეგ არ შეგვიძლია და ნება არა გვაქვს დავემდუროთ ჩინელებს, რუდის თვალით გვიყურებენ და ჩვენ გაძევებას აქედან სიხარულით ელიან.

სახლებს ჩინელები მიწისაგან აკეთებენ, ზოგიდან გაოლიანის ჩალით ხურავენ. ძირს მიწაა, იატაკს თითქმის არავინ არ აგებს. ყოველი სახლი შესდგება ორის ოთახისაგან, ერთში თითონ სცხოვრობენ, ხოლო მეორეში მოწყობილი აქვთ სამზარეულო. ყველა სახლს წინა მხრიდან დიდი ფანჯრები აქვს, მხოლოდ შუშების მაგიერ ხარიხებზე გაკრული ქაღალდია გაკრული. საცხოვრებელ ოთახებში ტახტებია მოწყობილი; ხალებს მაგიერ ჭილოფები აგია და ზედ ჩვენებურად მოკეცილი სხედან ჩინელი ქალები. მათ გარედ გამოსვლა ძალიან ძვირად შეხვდებათ; მიზეზი ის არის, რომ ფეხები პატარაობიდან შეკრული აქვთ, რომ არ გაეზარდოთ და სიარული უჭირთ. აქ ჩვეულებად აქვთ შვიდი-რვა წლიდან ქალებს ფეხზე ადგმენ პატარა ქოშებს, რომელიც ისე მოჭერილია, რომ ფეხის ზრდა შეუძლებელია. დამაზ ქალად ის ითვლება, ვისაც ძალიან პატარა ფეხები აქვს. ამის გულისთვის ისე აშახინჯებენ პატარაობიდან ქალები ფეხებს, რომ, როცა იზრდებიან, სიარული უჭირთ. საზოგადოდ, ჩინელები ძალიან უსუფთაოდ სცხოვრობენ. როცა შედიხართ სახლში, რადგან საძაგელი, ამყრალებული სუნი გცემთ. მათ სახლში დიდხანს ვერ გასძლებთ.

შინაურ ცხოველებში ჩინელები აშენებენ უფრო მომეტებულად ცხენებს, ჯორებს, ვირებს და ღორებს. აქაური ღორი შავია. ღორის ხორცი ჩინელებს ძალიან უყვართ. დასაკლავად ჩინელი ღორს ძვირად გაიმეტებს, მხოლოდ მაშინ სჭამენ, თუ რამე მიზეზით მოკვდება. ცხენები და ჯორები ურმებში უბიათ; თითო ურემში ოთხიდან რვამდის ცხენს ან ჯორს აბამენ. ბანაკის ახლო-მახლო სოფლები სულ დავიარეთ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ვერა ვნახე ვერც ერთი ძროხა, ან ხარი. როგორც გავიგე, საქონელი ბევრს სულ გაუყიდია და ზოგს კი შორს გადაუმალავს, რომ ჯარმა არ წაართვას.

აქ ორი ჩინელი აფიცერი გავიცანი, ორივე რუსულად ლაპარაკობს. როგორც დავრწმუნდი, მათ არც კი იციან, თუ დედამიწის ზურგზე ქართველი ერი სცხოვრობს.

ზავის ჩამოგდების ამბავმა ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენა აქაური ზოგიერთი ვაჟბატონი. მართალიც არის: ვინ იცის, მოესწრებიან კიდევ ასეთ დროს! ფუფუნება, თბილი ადგილები, ფული და სხვა ყველა ეს მათ ხელთ იყო.

ცუდ გუნებაზე არიან ზოგიერთი ვაჭრებიც, რომელთაც უთავდებათ სეზონი. ზოგიერთს იმედი კიდევ არ დაუკარგავს, ერთი წელიწადი კიდევ მოუნდება ჯარი აქედან გასვლასა და ვაჭრობა მაინც არ დაეცემაო, გაიძახიან ესენი. დღეს აქ ძალიან სიძვირეა. ფუთი ხორცი 22 მანეთია, შაქარი გირვანქა ათი შაური, ბოთლი ამყრალებული ლუდი—მანეთ ნახევარი, კვერცხი—თითო შაური, ორ შაურიანი უბრალო სანთლის ჭიქა—სამი აბაზი, ბოთლი არაყი—ორი მანეთი. დღეს აქ ყველა ჩვენთვის საინტერესო საკითხი ის არის, თუ როდის დავბრუნდებით შინ. ყოველ დღე სხვა და სხვა ხმა მოდის. ხმებია შვიდი კორპუსი ციმბირში დარჩება სამუდამოდაო, ჯარი ზოგი რკინის გზით გაიგზავნება და ზოგიც ზღვითაო. მაგრამ მართალს დღემდის ვერას ვგებულობთ.

პორუჩიკი ა. აბესაძე

რა პოლიტიკას მისდევს ინგლისი ახალშენებში *).

ავტონომიურ ახალშენებსა და მეტროპოლიის შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ეს კავშირი უფრო სიტყვიერია, ვიდრე ნამდვილი. ინგლისის ცნობილი პროფესორი ბრაისი ინგლისის ახალშენებს „ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკებს“ ეძახის და მართლაც თერთმეტი უმთავრესი ახალშენი, სრული დამოუკიდებელი სახელმწიფონი არიან. ფორმალურად მხოლოდ ერთ მხრივ არიან შეზღუდულნი, სახელდობრ—უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკების გამართვა და ხელშეკრულობის დადების უფლება არა აქვთ. საქმით კი ინგლისის ახალშენები არც ამ მხრივ არიან შეზღუდულნი, რასაც კანადისა და ამერიკის და კაპლანდიისა და ტრანსვაალის შორის აღძრული მოლაპარაკება ცხადათ ამტკიცებს.

შინაგან წესწყობილებას კი რაც შეეხება, ინგლისის ახალშენებმა დამოუკიდებლობის საზღვარი არ იციან რა არის. ამათ აქვთ თავისი საკუთარი ფული, მხედრობა, საკანონმდებლო ყრილობები და თავიანთი პასუხის მგებელი სამინისტროები. ახალშენსა და მეტროპოლიას ინგლისის მეფის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი აერთებს მხოლოდ. პოლიტიკურ სოლიდარობის დამამტკიცებელი კი ის არის, რომ ახალშენის პარლამენტები ინგლისის მოქალაქეებს

---

*) მ. სინევსკის წერილი.

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2924.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება მაშინ, როდესაც არ შეგვიძლიან დაიცვა შენი მოქალაქენი ადმინისტრაციის აღვირ-აშვებულ თვითნებობისაგან! უარს გამბობთ ხმოსნობაზე! ზიზღს გუცხადებთ სისხლის ღვრაში დამნაშავეთ! ფეხს არ შევდგამთ ქალაქის საბჭოს დარბაზში, სანამ უზრუნველი არ იქნება პიროვნება ადამიანისა, არ იქნება გამოცხადებული თავისუფლება კრებისა, სიტყვისა, წერისა, სანამ სასტიკად არ დაისჯებიან სისხლის ღვრაში დამნაშავენი!“ ბევრი სხვა კარგი რამ მოითხოვეს ხმოსნებმა დიდის მუქარით და, საუბედუროდ, ტრაბახით.

ფუჭი, ლიტონი სიტყვები გამოდგა ქალაქის ხმოსნების გმირობა. ბოლოს ვერ მიაღწიეს თავის მუქარას და ჭკამლეტივით ერთი დღის შემდეგ ფუფანი დაიწყეს. „მამანო, დაგვმშვიდდით, გრძნობათა ღელვას ნუ აყვებით. დარბაისლობა შეგვფერის. უმაწვილური კაპრიზობა არ შეგვშვენის. ნაბიჯი სერიოზულია, უნდა აგწონ-დავწონოთ, ყოველ მხრივ გავსინჯოთ. განა რა მოხდა ისეთი! ყაზახებმა ორიოდე მოქალაქე მოკლეს, ათიოდე დასჭრეს, საბჭოს დარბაზი წითელი სისხლით შეღებეს... სხვა ხომ არაფერი. მოკლულთა ხსენებას პატივი ვცეთ ადგომით; დაჭრილებზე საავადმყოფოში იზრუნებენ და იმედია მორჩებიან; წითელი სისხლი ადვილი გასარეცხია ცხელი წყლით. მორჩა და გათავდა. ვინც რომ არ იყოს, განა 29 აგვისტოს ამბავი არა-ჩვეულებრივია! რა ბუკს და ნაღარას ვცემთ, რა მოხდა საომარი? ახლა დაჰკვირდით, გაითვალისწინეთ ის შედეგი, რომელიც ჩვენს „ობსტრუქციას“ მოჰყვება. პირველი, ქალაქს მისი ინტერესების დამცველი აღარ ეყოლება და ფუჭად ჩაივლის ჩვენი ფრიად ნაყოფიერი მუშაობა საზოგადო ქალაქის საკეთილდღეოდ; მეორე, მიზანს ვერ მივაღწევთ „ობსტრუქციით“, ე. ი. ვერ შევაშინებთ ადმინისტრაციას. იმას გაუხარდება კიდეც, რომ კარგი დუმა უპატრონოდ დარჩა და უშიშრად შეუძლიან მისი ხატკბარუნება. აბა რა თავში მოსასვლელია ამისთანა თავგანწირულება: ჩვენი დუმის ჩვენისავე ხელით ჩაგდება პირში გაუმაძღარის და ჩვენგან მოძულებულის ბიუროკრატიისა, არა, მამანო, დინჯი, აუჩქარებელი და მიუდგომელი განხილვა გვაიძულებს უკან დავბრუნდეთ და საქმეს შევუდგეთ საყვარელ მოქალაქეთა საბედნიეროდ. ვინც წინააღმდეგს ამბობს, მას ჭკუის თავი მოაწონოს მყვირალა რადიკალებს, ეს კი დასაძრახისი საქციელია და არ შეშვენის ნამდვილ, პატიოსან, თავდადებულ მოღვაწეს საზოგადოებრივ ასპარეზზე“.

ვაშა თქვენს ბრძნულ მსჯელობას, ქალაქის მამანო!

რომელმა ბოროტმა ენამ სთქვა, რომ თქვენ მხდალები, ლაჩრები ხართ? განა მხდალობაა, ლაჩრობაა საჯაროდ გამოცხადება იმისა, რაც ეწინააღმდეგება უმრავლესობის აზრს? უმრავლესობას კი ჰგონია, რომ ქალაქის მამები ან სირცხვილით უნდა დამწვარიყვნენ, ან შეეფურთხებინათ იმ დარბაზისათვის, სადაც დაიღვარა უბრალო სისხლი მოქალაქეებისა.

გაუმარჯოს გმირებს! დაბრუნდით, გმირნო მამანო, ქალაქი იღუპება უთქვენოდ: მილებში წყალი შესდგა, ხორცის დუქნების დეფიციტმა იმატა, ერთის სიტყვით მალე ქალაქი აღამაჰმადხანის დროს მოესწრება, თუ თქვენ კიდევ ერთი დღე დააყოვნეთ და „ობსტრუქცია“ უკან არ წაიღეთ.

გაუმარჯოს გმირებს, თავდადებულ მებრძოლთ საყვარელ ტფილისის ბედნიერებისათვის!

ყვავი.

სასამართლო

ბაქოს გუბერნატორის თავ. მ. ა. ნაკაშიძის მოკვლის საქმე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი)

26 სექტემბერს წაკითხულ იქმნა საბრალმდებლო ოქმი. ბრალდებულთ განაცხადეს, ჩვენ დამნაშავენი არა ვართო; ერთმა ბრალდებულმა, მეირამოვმა სთქვა, მოკლული ნაკაშიძე არასოდეს არ მინახავს, სიზმრადაც არ მომლანდებიაო.

თავმჯდომარის განკარგულებით შემოიყვანეს მოწმეები, რომელნიც დააფიცეს და შემდეგ ისევ გაიყვანეს, დარჩა სასამართლოს დარბაზში მხოლოდ ერთი მოწმე პოდპოლკოვნიკი დუბროვსკი. თავმჯდომარემ წინადადება მისცა ბრალმდებელს (ივანოვს), ჰკითხეთ მოწმეთ, რისთვისაც იბარებდითო. ბრალმდებელი ეკითხება დუბროვსკის, სწორეთ შეიტანეთ თუ არა ოქმში სტრელკოვის ჩვენებაო. თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს ბრალმდებელს, თქვენ შეგიძლიანთ მხოლოდ იმ გარემოებათა შესახებ შეეკითხოთ მოწმეს, რომლებსაც ჩვენების ჩამორთმევის დროს ჰქონდათ ადგილი, თვით ჩვენების შინაარსის შესახებ-კი არაო. ბრალდებული ითხოვს, ოქმში იყოს შეტანილი, რომ იმას ნება არ მიეცა სიმართლის გამოსარკვევად შეჰკითხებოდა მოწმეს. დამცველის ხარუდნის კითხვებზე დუბროვსკიმ უპასუხა, სტრელკოვი პოლიციის აგენტი იყო, ტანისამოსს იცვლიდა და გრიმს იკეთებდაო; მოწმეები კურბანი, აგალი და ჰუსეინი თითონ არ მოსულან ჩემთან, ისინი გენერალ-გუბერნატორთან თავ. ამილახვართან მისულიყვნენ და იმას გამოეგზავნა ჩემთან. დამცველებმა მოითხოვეს, რომ დუბროვსკი ჯერ-ჯერობით არ გაენთავისუფლებინათ და სასამართლოს დარბაზში დაეტოვებინათ.

27 სექტემბერს ჩვენება ჩამოართვეს ქერბოლაი მამედ-კულის. 11 მაისს ვრანგელის ქუჩაზე შევხვდიო, სთქვა მოწმემ, ჩემს ნაცნობს აგალის და გამოველაპარაკე; ამ დროს კუზნარევის მაღაზიიდან გამოვიდა ერთი დაბალი ტანის სომეხი და მაღაზიის მახლობლად მყოფი მეხილე თათარი გააგდო. თათარი არ მიდიოდა, მაგრამ სომეხმა უთხრა, აქ ბუნტი უნდა მოხდეს, სროლა ატყდებაო, და ისიც წაეიდა. ცოტა ხნის შემდეგ ამავე სომეხმა გააგდო კიდევ სხვა თათარი, რომელიც სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ მახლობლად ჰყიდდა ხილს; გააგდო აგრეთვე ერთი რუსის ქალი, რომელიც ხილს ყიდულობდა. შემდეგ ეს სომეხი გამოელაპარაკა რაღაცაზედ ორს ქუჩაზე მდგომს სომეხს და შევიდა მაღაზიაში. ერთი სომეხი, რომელიც ქუჩაში დარჩა, ყველას იმას ეუბნებოდა, აქედან წადითო. ერთი ახალგაზდა სომეხი, უწვერ-ულვაშო, ვრანგელის ქუჩაზე დადიოდა და რაღაც ნიშნებს აძლევდა სხვებს. ყველა ამ სომხებს ვიცნობო, განაცხადა ქერბალაიმ, და მიუთითა ბრალდებულებზე. როდესაც გუბერნატორის ნაკაშიძის ეტლი გამოჩნდა, კუზნარევის მაღაზიიდან რაღაცა გადაისროლა იმ სომეხმა, რომელიც პირველად ჰფანტავდა ამ ადგილებიდან ხალხს. გაისმა საშინელი ხმა აფეთქებისა. მე და აგალის შეგვეშინდა და ვრანგელის ქუჩაზე გავიქეცით, ზევითკენ. ბომბა ხაალინცმა ისროლა, მეირამოვიც იმასთან იყო, აგასანიანცი ტროტუარზე იდგა, არუტიუნოვი და სააკიანცი ქუჩაზე იდგნენო. ვექილების კითხვაზე მოწამემ სთქვა, თავად ამილახვართან მე მხოლოდ მოკვლის მესამე თუ მეოთხე დღეს მივედი; მაშინვე წასვლა ვერ გავბედე, სომხებისა მეშინოდაო. დამცველს ხარუდნის იმავ მოწმემ სხვათა შორის უთხრა: „ბ-ნო პეტერბურგის ნაფიცო ვექილო, რატომ ჩამომკიდებიხართ, მე ხომ ღმერთი არა ვარ, ყველა თქვენ კითხვაზე პასუხი მოგცეთ. თქვენ, ბ-ნო ადვოკატო, საქმის დაფარვა გინდათ, მე-კი ყველაფერი უნდა გამოვააშკარავოთ.—ასე არ იქნება. მე სიმართლე გითხარით, გიჩვენეთ, ვინ ისროლა ბომბა, გითხარით, რომელი ბრალდებული რას აკეთებდა და არ მესმის, რა გინდათ კიდევ ჩემგან“. თავმჯდომარემ აუხსნა მოწმეს, რომ ის მოვალეა პასუხი მისცეს ვექილს კითხვებზე.

შემდეგ ჩამოართვეს ჩვენება მოწმე აგალის, რომელმაც ისევ ის სთქვა, რაც ქერბოლაიმ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აგალის სიტყვით აფეთქების შემდეგ ის და ქერბოლაი ზევით-კი არა, ქვევით გაიქცნენ. სხდომა გადაიდო 28 სექტემბრისთვის. მოწამე ქერბოლაი მიიჭრა სტოლთან და რუსულად სთქვა (წინად-კი განაცხადა, რუსული არ ვიციო): „ბ-ნნო მოსამართლენო, დაგვიფარეთ, გვიშველეთ; ასეთი ჩვენებისთვის დაგვხოცენ; თუ მცველები არ გაგვაყოლეთ, აქედან ვერ წავალთ“. თავმჯდომარე ამშვიდებს, ნურაფერი გეფიქრებათ! თქვენ რუსეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფებით და არავის არ შეუძლიან ხელი მოგაკაროთო. ქერბოლაი უპასუხებს: „ეგ მართალია, მადლობელი ვარ, მაგრამ ჩვენ მოგვკლავენ და ჩვენი ოჯახები უპატრონოდ დარჩებიან“. თავმჯდომარემ უთხრა, მცველებს გაგაყოლებთო.

28 სექტემბრის სხდომაზე რამდენსამე მოწმეს ჩამოართვეს ჩვენება. როტმისტრი მოლჩანოვი ამბობს, პროკლამაცია თავ. ნაკაშიძის მოკვლის შესახებ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის გამოცემულია; მე ნამდვილად ვიცი, რომ ამ პარტიაში მარტო სომხები არ არიან, სხვა ეროვნების ხალხიც არიო. თავ. ნაკაშიძე თათრებსაც და სომხებსაც ერთნაირად ეპყრობოდა. ბაქოში კიდევ რამდენიმე სხვა სარევოლიუციო პარტია და კომიტეტია; სომხების კომიტეტი, უცხოეთის კომიტეტი (ჟენევიდამ) და სხვები. სოციალისტური პარტიები სხვა და სხვა ნაირია და თითოეული მათგანი დამოუკიდებელია. ბოქაულმა მამედ-ბეგოვმა სთქვა, დაპრილმა მეეტლემ კუზნარევის მაღაზიაზე მიმითითა, ბომბა აქედან ისროლესო.

ცატუროვმა და ბაიანმა სთქვეს, ჩვენ კუზნარევის მაღაზიაშივე ვმსახურობთ, ბომბა რომ ისროლეს, იმ დროს ჩვენს მეტი იქ არავინ ყოფილაო. სალდათმა ივან იაროვენკომ სთქვა, 12 მაისს პოლიციის ბოქაული ვიღაცას ელაპარაკებოდა ტელეფონით და სხვათა შორის უთხრა: „მოვალთ, მოვალთ დღეს თქვენთანო“. ჟანდარმის უნტერ-აფიცერი კოვალენკო ამბობს, მეექვსე საპოლიციო ნაწილში ბოქაული ტელეფონით მოელაპარაკა 817 და 54 ნომრებს და სხვათა შორის უთხრა: როცა გასწმენდავთ შემატყობინეთ... ჰო, დღეს თქვენთან მოვალთო“. 817 ლევენსონის ქარხნის ტელეფონის ნომერია, 54—ხატისოვის ქარხნისა.

ჩვენება ჩამოართვეს კიდევ რამდენსამე მოწმეს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ბომბის სროლის დროს ბრალდებულნი სხვა ადგილას იყვნენ და არა იქ, სადაც აფეთქება მოხდა.

(შემდეგი იქნება)

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან:

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობა 1 ლვინობისთვეს. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერს, ფულის გამოგზავნის დროს გამოგზავნოს აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

რუსეთის ქრონიკა

პოლიტიკური პროცესი. 27 ოქტომბრისთვის დანიშნულია ლიტერატორის მატიუშენსკის საქმის გარჩევა პეტერ. სამოსამართლო პალატაში. მატიუშენსკის ის ბრალი ედება, რომ 1 მარტს ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ გამართულ საქველმოქმედო სადამოზე წარმოუთქვამს სიტყვა, რომლითაც იწვევდა საზოგადოებას მთავრობასთან საბრძოლველად. (პრ. კრაი).

სიკვდილით დასჯა. ვარშავის სამხედრო სასამართლოს ებრაელის იოს. ორომისთვის გადაუწყვეტია სიკვდილით დასჯა ყაზახის მოკვლისათვის. (კ. ნოვ.)

ნარკვევი განმათავისუფლებელ მოძრაობისა ლეიპციგში გამოსულა გერმანულ ენაზე ალ. უდარის მიერ დაწერილი წიგნი, სახელად „ნარკვევი განმათავისუფლებელ მოძრაობისა რუსეთში“. (კ. ნოვ.)

ადმინისტრაციის განკარგულებით დაუჭერიათ ბერნშტამის წიგნი: „ზა პრავო“, რომელიც მეორედ გამოუცია რუტენბერგის ფირმას (კ. ნოვ.).

სასჯელი ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვებისთვის. მოსკოვის სამოსამართლო პალატის სესია 8 ნოემბერს კოსტრომაში მოისმენს კოსტრომის საზოგადო მოღვაწის სპასსკისა და ისტორიის მასწავლებლის გოლუბკოვის საქმეს, რომელთაც ჰბრალდებათ პოლიტიკურ ხასიათის სიტყვების წარმოთქმა წარსულ წლის 20 ნოემბერს ნადიმზე. (კ. ნოვ.)

სოციალ დემოკრატთა პარტიის მიმდევარნი. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სესია პსკოვში 13 ოქტომბერს განიხილავს სტუდენტის გ. გორნას, ხელოსანთა იუდელ ლევიტას, მორ. სოროკინის, დ. რუტენბერგის, მოვშა ანნოს და სალდათის იცკო ლევინსკის პოლიტიკურ საქმეს. ესენი მონაწილეობას იღებდნენ „პსკოვის სოციალდემოკრატთა პარტიაში“ „ისკრა“-ში. (ნ. ჟ.)

მწერლის ნაწარმოების წაკითხვის აკრძალვა. 28 სექტემბერს სარატოვში ნაფიც ვექილ პრეევალსკისთან შეკრებილა მცირეოდენი საზოგადოება, რომლისათვისაც მაქსიმ გორკის უნდა წაეკითხა თავისი ახალი დრამა „დეტი სოლნცა“ (მზის შვილნი), მაგრამ დაეწყოა თუ არა კითხვა, პრეევალსკის ბინაზე მისულა პოლიცია და კითხვის ნება არ მიეცა. (პრ. კრაი).

სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის გამოსვლა სამსახურიდან. სევასტოპოლის საზღვაო-სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს გენ.-მაიორ ანდრეევს, რომელიც თავმჯდომარეობდა ჯავშნიან გემ „კნიაზ პოტემკინ“-ის აჯანყების საქმის განხილვის დროს, როგორც „სლოვო“-ს გაუგია, სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი შეუტანია. ხსენებულ აჯანყების სამ მოთავეს სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა და ამასთან დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ჩამოხრჩობა კატორღით შეემსუბუქებინა, მაგრამ ეს შუამდგომლობა ჩერნომორის ფლოტის უფროსმა ვიცე-ადმირალმა ჩუხნინმა არ შეიწყნარა. თავმჯდომარე ამიტომ გადადგა სამსახურიდან. (ნ. ჟ.)

„ვისაც ჰქონდეს მიეცეს და მიემატოს“. ზღვათა სამინისტროს ყოფილ მინისტრს ადმირალ აველანს ადმირალს შუამდგომლობა და მიუღია კიდეც 10,000 (ათი ათასი) მანეთი შემწეობა მოსაწყობად თავის კერძო ბინისა, სადაც იგი გადასულა სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ. (პრ. კრაი).

ნებადაურთველი სტამბა და აკრძალული წიგნები. 24 ოქტომბერს პეტერ. სამოს. პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე სოციალდემოკრატთა გრ. ტატაროვის, კონ. მორზეევის, სტუდ. ნ. ნაველის, ალექსა გლოვაკის, ეკ. ლევცოვის და დონის ყაზახის ლ. პახოხინისა, რომელნიც სამართალში მისცეს ნებადაურთველ სტამბის გახსნისა და ამ პარტიის თხზულებების ბეჭდვისთვის. (ნ. ჟ.)

პოლიტიკური საქმე. 6 ოქტომბერს პეტერბურგის სამოსამართლო პალატა განიხილავს პოლიტიკურ საქმეს, რომელშიაც ჩარეულია ნაფიცი ვექილი ჰენრიხ მალკინი, მიხ. პოლეგაი, ლიუბა პროტოკინისა, პრასკოვია პოლუბაიარინოვისა, პეტერბურგის ქარხნის მუშები: ნ. კომზაკოვი, ი. ლესნიკოვი, კოშკინი და ელ. ხუდიაკოვსკის ქალი. ყველა ესენი 13 იანვარს ყოფილან სახელმწიფოს წესწყობილების საწინააღმდეგო ურიდობაში.

წერილები

ბაქო. ბაქო დღეს ისეთ სამგლოვიარო სურათს წარმოადგენს, რომ, ვისაც წინად უნახავს, ვეღარ იცნობს ამ ქალაქს, ასე გეგონებათ, გარეშე მტერი შემოსევოდეს ქალაქს. დაერბიოს იგი და ყოველივე აეკლოს. ქუჩებში ხალხს ძლიერ ცოტას შეხვდებით, თითქო სადღაც დახიზნულიყოს; ამის ნაცვლად ყოველ ფეხის გადადგმაზე შეიარაღებულ ჯარის კაცებსა და არტილერიას ჰხედავთ. უყურებთ და არა გჯერათ, რომ ეს ის ქალაქია, სადაც წინად სიცოცხლე სდუღდა და ათასგვარი სხვა და სხვა დარგის წარმოება, ალებ-მიცემობა, ნაოსნობა და სხვა იყო გაჩაღებული! ერთის სიტყვით, ქალაქი მკვდარს დამსგავსებია და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა.

ბევრმა ხომ სრულებით მიატოვა თავისი საცხოვრებელი და გაიქცა ბაქოდან ცოლ-შვილით; დარჩენილი ხალხი დღეს ორ ბანაკად არის გაყოფილი, თითქო მოპირდაპირე მტრები იყვნენ: ერთი მხრით მაჰმადიანები არიან, მეორე მხრით სომხებს მოუყრიათ თავი, და ორივე მხარე ეჭვის თვალით უცქერის ერთმანეთს. მართალია, სომხები და თათრები შერიგებულან, მაგრამ ეს შერიგება თვით შერიგებულებს არა სჯამთ და სხვა ვიდა იწამებს! საკმაოა მცირე საბაბი, რომ მეზობლები კვლავ დაერივნენ ერთმანეთს და სისხლის ღვრა მოხდეს.

მაღაზიები მართალია, გაუღიათ, მაგრამ მუშტარი კი არსადა სჩანს, ამასთან ყველანი შიშით არიან შეპყრობილნი და, უკეთუ სროლა გაჩნდა სადმე იმ წამსვე ჰკეტავენ. ასეთი მაგალითები ხშირად მომხდარა.

სკოლებში სწავლა დაიწყო. მაგრამ ჯერ-ჯერობით არსად წესიერად არ სწარმოებს, რადგან ყველას ეშინიან. მასწავლებლები და მოსწავლებიც თავისუფლად ვერ დადიან სასწავლებელში.

ყოველსავე ზემოხსენებულს დაუმატეთ საშინელი კრიზისი, საზოგადო ქესატობა და ამასთან ყოველგვარ სანოვაგის საშინელი სიძვირე, და მაშინ ადვილად წარმოიდგენთ იმათ მდგომარეობას, ვინც იძულებულია ბაქოში დარჩეს საცხოვრებლად.

გ. წყალტუბელი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. გუშინ, 4 სექტემბერს, ღამე, ჭიათურის სადგურზედ ორი კაცი დაეცა ჟანდარმს დერევიანსკის და რევოლვერით მოჰკლა იგი. ჟანდარმმა სასიკვდილოდ დასჭრა ერთი თავდამსხმელი.

4 ოქტომბერი.

პეტერბურგი. ჩქარა გაუქმდება მინისტრთა კომიტეტი. 3 ოქტომბერს პირველი სხდომა ჰქონდათ მინისტრების მოქმედებათა გაერთიანების საკითხის შესახებ. ვიტტემ სიტყვა წარმოსთქვა, საჭიროა შეერთებაო-სთქვა და განაცხადა, რომ მისგან დიდს პრაქტიკულს შედეგს მაინც არ მოელის. ვიტტეს შემდეგმა ორატორებმა მხარი დაუჭირეს გაერთიანების იდეიას, მაგრამ სხვა და სხვა აზრისანი იყვნენ პროექტის განხორციელების ფორმის შესახებ. გამაერთიანებელ ორგანოს დასამუშავებლად იხელმძღვანელებენ გრაფ სოლსკის მიერ შემუშავებულ პროექტით. პროექტის დაწვრილებითი განხილვა შემდეგ სხდომისთვის გადაიდო.

ამ დღეებში პეტერბურგში მოელიან უცხოელ ფინანსისტთა ჯგუფებს. ამათ მოსვლას კავშირი აქვს განზრახულ საფინანსო ოპერაციებთან.

მოსკოვი. გენ. შანიავსკიმ, რომელმაც მოსკოვის ქალაქის სამმართველოს შესწირა სახლი კარ-მიდამოთი სახალხო უნივერსიტეტის გასამართავად, თხოვნით მიმართა საერო განათლების მინისტრს, დაეხმაროს უნი-

---

აძლევენ ხმის უფლებას, ოღონდ ყოველ მათგანს განსაზღვრული დრო ეცხოვრა ახალშენში, ქვეშევრდომობის მიღებას კი არა თხოულობენ მათგან; აგრეთვე მეტროპოლიაც, როგორც თავის მოქალაქეებს, ისე უცქერის ახალშენელებს. წინა წერილებიდან ნათლად დაინახავდა მკითხველი, რომ მეტროპოლიას არავითარი უპირატესობა არა აქვს მინიჭებული ახალშენებთან შედარებით და ახალშენის მორჩილებაზედ ლაპარაკი არც კი შეიძლება. წინააღმდეგ, საქმე ისე დაყენებული, რომ მეტროპოლიის პოლიტიკას ახალშენები აძლევენ ხოლმე მიმართულებას. მაგალითად, კანადა გაზაზებულ ბავშვსავით, რასაც უნდა იმას ჩაადენინებს ხოლმე მეტროპოლიას. მოვიყვანოთ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი, როდესაც ინგლისმა კანადის მოთხოვნით ამერიკასთან დადებულ ხელშეკრულებაზედ უარი განაცხადა. ინგლისმა კანადის საზღვრებში მეთევზეობის შესახებ ხელშეკრულება დასდო ამერიკასთან, მაგრამ კანადას კი არ შეეკითხა, თუმცა ხსენებულ ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა კანადის ინტერესებს შებღალავდა. სანამ საქმე ქაღალდს და თაობარს არ გასცილებოდა, კანადა ჩუმად იყო, მაგრამ როგორც განხორციელებაზედ მიდგა საქმე, მან თავის მეტროპოლიას პროტესტი გამოუცხადა. ინგლისს სხვა აღარა დარჩენოდა-რა, ან კანადის მოთხოვნილებას უნდა დამორჩილებოდა და უკვე დადებულ ხელშეკრულებაზედ უარი განეცხადებინა ან და ძალა უნდა ეხმარა და თუ ნებაყოფლობით არა, ცეცხლითა და მახვილით უნდა მოეპოვა ურჩი ახალშენის თანხმობა. სხვა სახელმწიფო უსათუოდ ამ გზას დაადგებოდა და ახლად აღორძინებულ ახალშენს ყაზახებისა და ჟუმბარების წყალობით სულ მთლად აღგვიდა დედამიწის ზურგიდან, მაგრამ ინგლისი განათლებული და კულტურული ქვეყანაა. ინგლისის უფლება მოქალაქეს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი პიროვნებისა და მით უმეტეს ხალხოსნობის პატივისცემა და თუ კი შეუძლიან, ის ყოველთვისა სცდილობს ძალმომრეობას მხარი აუქციოს და საქმე თანხმობით გაათავოს.

აი, ამნაირი კავშირის გულისთვის იდებს ინგლისი ახალშენების დაცვის მოვალეობას და ახალშენებიც, თუ გარემოება ისე მოეწყო, რომ ინგლისი ომში ჩაება, მზად არიან თავის მეტროპოლიას მხარი დაუჭირონ.

საქმის ამნაირი მდგომარეობა ნორმალურად ვერ ჩაითვლება ამ ჟამად, როცა ევროპის სახელმწიფონი ახალშენის შეძენის სურვილით მზად არიან მთელ ევროპას ცეცხლი წაუკიდონ და მეზობელ ქვეყნისათვის უკანასკნელი ჟუმბარაც კი არ დაიშურონ. საიმპერიო ფედერაციისათვის სხვა რამე საფუძველი უნდა გამოეძებნათ და წინა წერილში ნახსენებმა ლიგამაც სწორედ ამას მიაქცია თავისი ყურადღება.

პირველ ხანებში ლიგა ენერგიულად შეუდგა თავის საქმეს და ინგლისის პოლიტიკაზედ ძალიან დიდი გავლენა იქონია. თავისი ლექციებით, სხვა და სხვა გამოცემებით და რეზოლიუციებით ლიგამ საზოგადოების ყურადღება საგრძნობლად მიიპყრო და ინგლისის უწინდელი გულგრილობა ახალშენების მიმართ გულშემატკივრობამ შესცვალა. საფედერაციო ლიგის ყოველთვიური ჟურნალი „Imperial federation“ ძვირფას მასალას აწვდიდა საზოგადოებას და თუ კი ფედერაციის სასარგებლოდ რამე ითქმოდა, სხვას აღარ დასცდიდა. 1887 წელს ინგლისის მთავრობამ ლიგის ზეგავლენით პირველი ნაბიჯი წასდგა წინ. გარეშე საქმეთა მინისტრმა სტენჰოპმა, რომელიც ლიგის გამოჩენილი წევრი იყო, ახალშენების წარმომადგენელნი ლონდონის კონფერენციაზედ მიიწვია. ახალშენებმა თავისი თანხმობა წარმომადგენლების გამოგზავნით გამოაცხადეს და იმავე წლის აპრილში და მაისში კონფერენცია შესდგა ლონდონში. ინგლისის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ახალშენების შესახებ მოსალაპარაკებლად მათი დელეგატებიც იქნენ მოწვეულნი. კონფერენცია ექვს კვირას გაგრძელდა და ბევრს ეგრეთ წოდებულ საიმპერიო კითხვებს შეეხო. უმთავრესად კი გარეშე მტრის შემოსევისაგან დაფარვაზედ იყო ლაპარაკი. ამ მხრივ, მხოლოდ ერთ დასკვნას დაადგა კონფერენცია, სახელდობრ—ავსტრალიის კიდეების დასაცველად ინგლისს სამხედრო გემების ერთი ნაწილი ავსტრალიის ზღვებში უნდა ჰყოლოდა და ავსტრალიას კიდევ ესკადრის შესანახ ხარჯში მონაწილეობა უნდა მიეღო. კანადამა და სამხრეთ აფრიკამ კი ხარჯის გადახდაც არ მოისურვეს.

მაგრამ პრაქტიკულად რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო კონფერენციის დადგენილება, მარტო იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებელ ახალშენთა წარმომადგენელნი საიმპერიო კითხვებზედ მოსალაპარაკებლად შეიყარნენ, მარტო ამ ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და სოლსბერიმაც დელეგატებს კი ამიტომ მიმართა დიდის აღტაცებით და ამ კონფერენციაში მომავალ საიმპერიო პარლამენტის თესლი დაინახა.

ამის შემდეგ ოფიციალურად ამ გვარი კონფერენცია აღარ გამართულა, თუმცა არა ოფიციალურად სწორედ ათი წლის შემდეგ ერთი კონფერენცია კიდევ შესდგა. 1891 წელს საფედერაციო ლიგამ კიდევ მიმართა მთავრობას და ახალი კონფერენციის მოწვევა სთხოვა, მაგრამ სოლსბერი როგორღაც გულგრილად მოეპყრო და უპასუხა: „რა ჰქონია ამ კონფერენციებში, თუ მის წევრებს განსაზღვრულ გეგმას ვერ მივცემთ სახელმძღვანელოდ?“

ამ სიტყვებით სოლსბერი საფედერაციო მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს შეეხო. საიმპერიო ფედერაციის აზრმა, როგორც ზევითაც გვქონდა ნათქვამი, ღრმად გაიდგა ფესვები და ამ ჟამად ბევრი აღარ მოიძებნება ისეთი ინგლისელი, რომელსაც ახალშენებთან დაახლოვებისა და მათთან შეკავშირების სარგებლობა ნათლად არ ჰქონდეს წარმოდგენილი, მაგრამ სანამ საქმე მარტო მსჯელობასა და სურვილებს შეეხებოდა, ეს მოძრაობა შეუძლებლად არავის მიაჩნდა და მაშინ კი, როდესაც ეთილი განზრახვა პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა დამდგარიყო, აზრებისა და ინტერესების ისეთი სხვა და სხვაობა გამოაშკარავდა, რომ ახალშენებისა და მეტროპოლიის შეკავშირება-შეერთება ყოვლად შეუძლებელი გამოჩნდა. სოლსბერიმ, როგორც სახელმწიფო საქმეებში გამოცდილმა, სწორედ ამ პრაქტიკულ მხარეს მიაქცია ყურადღება და განსაზღვრული გეგმა მოსთხოვა ლიგის მიერ გამოგზავნილ დელეგატებს. ლიგამ შრომა და მეცადინეობა არ დაიშურა და 1893 წელს შემუშავებულ გეგმით ხელში კვლავ მიმართა მთავრობას და კონფერენციის მოწვევა სთხოვა. იმ ჟამად მთავრობას გლადსტონი უდგა სათავეში. გლადსტონმა როგორღაც გულით მიიღო დელეგატები და გამოუცხადა, რომ ვერც თითონ და ვერც იმის ამხანაგები ამ კავშირის გულისთვის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით სადამოქნო უპირატესობას ვერ მიანიჭებენ ახალშენებსაო. რაც კი საერთო ძალით მტრის მოგერიებას შეეხება, ეს მეტად სასურველია, მაგრამ ძნელი განსახორციელებელი კია. ამ მსჯელობის შემდეგ კონფერენციის მოწვევაზე მაინც უარი უთხრა, რადგან იმ ჟამად, გლადსტონის სიტყვით, საზოგადოებას უფრო ღირსშესანიშნავი და საჭირბოროტო საკითხები აწუხებდნენ.

გლადსტონის უარი კონფერენციის მოწვევაზე ლიგის ანდერძის აგება იყო, რადგან ლიგის წევრები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ ფედერაციის აზრი თუმცა მომწიფებულია, მისი განხორციელება კი ყოვლად შეუძლებელია. ყველას თავისებურად ესმოდა ფედერაციის აზრი—ზოგს სადამოქნო კავშირად ჰქონდა იგი წარმოდგენილი და თავის წინააღმდეგ თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებს ამხედრებდა; ზოგს კიდევ თავისუფალი ვაჭრობა სურს დაედოს მას საფუძვლად, რითაც პროტექციონიზმის მიმდევრებს იხდიან წინააღმდეგებათ. ერთი სიტყვით, ლიგა დარწმუნდა, რომ ვერაფერ დასკვნას ვერ დაადგებოდა და 1893 წელს თავისი მოღვაწეობა სამუდამოდ შესწყვიტა.

ლიგის დასურვამ ცხადათ დაუმტკიცა ყველას, რომ მეტროპოლიის და ახალშენების ძალა-ხელობით შეკავშირება შეუძლებელია და თუ კი მათ შორის არსებობს რამე საერთო, თითონ ცხოვრება წამოაყენებს ისეთ კითხვას, რომელიც საიმპერიო ფედერაციას თითონ გაუკვლევს გზასა და ამა თუ იმ ფორმას მისცემს მას. მართლაც, 1893 წლის შემდეგ მეტროპოლია და ახალშენები შესამჩნევათ უახლოვდებიან ერთი მეორეს და თავიანთ საერთო კავშირში დამის ჩრდილოთ ამერიკაც კი ჩაითრიეს.

ი. პ—ძე.

(შემდეგი იქნება)

ვერსიტეტის გახსნას. სამინისტრო თანაგრძნობით მოეკიდა ამ საქმეს და დააჩქარებს მის განხორციელებას.

4 ოქტომბერს საერო განათლების სამინისტროში მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა საშუალო სკოლების განახლების შესახებ კომისიის მუშაობა. რეფორმის პროექტი შემუშავებულია და წარედგინა კიდეც კომისიას; უკანასკნელმა კი დაწვრილებით უნდა განიხილოს ეს პროექტი და მას საბოლოო ფორმა მისცეს კანონ-პროექტისა. კომისიაში მონაწილეობენ: მინისტრის ამხანაგი; აკადემიკოსები—ნიკიტინი, სონინი და ლატიშევი; მინისტრის საბჭოს წევრები ბარანოვი, დობროვოლსკი, გრ. მუსინ-პუშკინი; პროფესორები: ტიხომიროვი, ტავილდაროვი, კულაკოვსკი და სლონინი; პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველი იზვოლსკი დირექტორი რეალურ სასწავლებლისა ფოხტი და სამოსწავლო უწყების სხვა წარმომადგენელნი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
4 ოქტომბერი.

პეტერბურგი, 4 ოქტომბერი. ნავთის შესახებ კამათურ თათბირზე დასრულდა მუშათა საკითხის განხილვა. პირველი ადგილი დაუთმეს მუშებისთვის ბინების გამართვისა, საავადმყოფოების მოწყობასა და სასმელ წყლის საკითხებს. მუშების ორგანიზაციების საკითხი კანონმდებლობითი წესით უნდა გადაწყდეს, რადგანაც ეს უეჭველად უფრო საყურადღებო საკითხია. ნავთის მრეწველების მიერ მიღებული ზომები, სამრეწველოებზე მუშებისა და მოსამსახურეების უპატრონოთ დარჩენილ ქონების ჯარების მიერ მისაკუთრების შესახებ, კავკასიის ნამესტნიკს გაეგზავნა.—დღეს პეტერბურგის გაზეთები არ გამოვიდა.

მოსკოვი. ტრუბეცკოის გვამი 4 საათის განმავლობაში ატარეს უნივერსიტეტის ტაძრიდან დონის მონასტრამდე. პროცესია სამგლოვიარო წეს-რიგით მიდიოდა და [illegible] სანახაობას წარმოადგენდა. სასაფლაოზე, ბნელში, კარს შემოერტყა 10 ათასი კაცი, სიტყვები წარმოსთქვეს მანუილოვმა, ლოპატინმა, ბაგინოვმა, ჩუპროვმა, გოლოვინმა, რამდენიმე სტუდენტმა და ებრაელთა რაბინმა. ცერემონია საღამოს გათავდა. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა და ქუჩაში ვეებერთელა ჯგროდ გაიარა.

4 ოქტომბერს მუშაობას შეუდგნენ გაზეთების მომუშავენი.

ქრემენჩუგი, 3 ოქტომბერი. პრეობრაჟენსკის ქუჩაზე ყაზახ-რუსებმა გაჰფანტეს დემონსტრანტები.

ხუჯა, 4 ოქტომბერი. საერობო სამმართველოს შენობაში, როცა იქ სხდომა ჰქონდა ქალთა თანასწორობის კავშირის წევრებს, შევიდა ისპრავნიკი უბნის ზედამხედველისა და ურიადნიკების თანხლებით და დაშლა მოითხოვა. როცა უარი მიიღო, მოითხოვა, რომ ნება მიეცათ მისთვის სხდომაზე დარჩენილიყო. თავმჯდომარე ქალმა უარი უთხრა. საერობო სამმართველოს უფროსმა თავმა დოლგორუკოვმა ტელეფონით აცნობა, რომ არ ჩარეულიყვნენ სხდომის საქმეში და კვლავ, თავმჯდომარის ნებართვად, არ გაებედნათ პოლიციის შევსვლა საერობო სამმართველოში.

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, წიგნების ასოთ-ამწყობებმა ნება დართეს გაზეთებისას, სამშაბათს შეუდგნენ მუშაობას. თუ ვერ მოახერხებენ, შეჩერდება ის სამი გაზეთიც, რომელნიც ეხლა გამოდის, სიტინის ყველაზე დიდმა სტამბამ თანხმობა განაცხადა 9 საათის სამუშაო დროზე, მიუმატა ჯამაგირებს 11½ %, გააუქმა გაჯარიმება, ჯამაგირი სრულიად შეუნახეს პირველ თვის განმავლობაში თუ ვინმე ავად გახდა, თუ მეტ ხანს იავადმყოფებს, მაშინ ორის თვის განმავლობაში ჯამაგირის ნახევარი, აგრეთვე მოიქცევა გაფიცვების დროსაც. მოსკოვ-ბრესტის რკინის გზამ დაითხოვა 1500 მუშა. რკინის გზების მდგომარეობა ჯერ საერთოდ გაურკვეველია.

პეტერბურგი, 4 ოქტომბერი. აუარებელმა ხალხმა, რომელმაც 2 ოქტომბერს ტრუბეცკოის გვამი მიაცილა ვოკზალზე, დემონსტრაციულად გაიარა ნევსკი პროსპექტი და უნივერსიტეტისკენ წავიდა. რექტორმა და საბჭოს კომისიამ, გაიგეს თუ არა, რომ უნივერსიტეტის შენობასთან შეტაკება მოხდებოდა სტუდენტებსა და პოლიციელებსათ, გაზეთების საშუალებით აცნობეს სტუდენტებს, რომ მათ შეატყობინეს ყველაფერი გრადონაჩალნიკს და მოსთხოვეს გამოძიების დანიშვნა. გრადონაჩალნიკმა სრული თანხმობა განაცხადა.

რიგა, 4 ოქტომბერი. ყველა ფაბრიკებზე დაიწყო მუშაობა, გარდა გემების საშენებელ ქარხნისა „ლანგე და შვილი“-ს ფირმით.

ბაქო, 4 ოქტომბერი. ნავთის მრეწველთ დასწყვიტეს, შეუდგნენ მუშაობას, თუმცა უშიშარ-ყოფილნი-კი არ არიან. გენ.-გუბერნატორი მოუწოდებს სამუშაოდ ყველას.

ტანჟერი. მავრებმა დაიჭირეს ფეცისკენ მიმავალი ინგლისელები კაპიტანი და ლეიტენანტი იმ გემისა, რომელიც ქვიშაში გაირიყა.

ბრიანსკი. თავად-აზნაურების წინამძღოლის ინიციატივით, გაიმართა კერძო თათბირი რწმუნებულებისა მაზრიდან სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევნების წესიერად მოწყობის შესახებ. თათბირზე მონაწილეობდნენ ორიოლის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სტახოვიჩი, საერობო უფროსები, კოლონისტების მამასახლისები, რამდენიმე მიწის მფლობელნი და ადგილობრივი ინტელიგენცია. თათბირზე გადასწყვიტეს, ბოიკოტი-კი არ უნდა გამოეცხადოს სათათბიროს, არამედ თვითონ სათათბიროს საუკეთესოდ გარდაქმნას ვეცადოთ.

ქრისტიანია, 3 ოქტომბერი. „აფტონბლადეტ“-ის სიტყვით, მეფე ოსკარი უარს გამოთქვამს ნორვეგიის სტორტინგის შეკითხვაზე ბერნადოტის გვარეულობის პრინცის კანდიდატობის შესახებ. ამის შემდეგ ნორვეგიის მთავრობა თხოვნით მიჰმართავს დანიის პრინც კარლს, დათანხმდეს მეფედ ამორჩევაზე და, მიიღებს რა თანხმობის პასუხს, სტორტინგი შეუდგება მეფის ამორჩევას.

ვენა, 4 ოქტომბერი. მოხდა თათბირი გარეშე საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით მინისტრთა თათბირი სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ.

ყაზანი, 4 ოქტომბერი. ბირჟის კომიტეტმა საჭიროდ სცნო დამცველი ბაჟის დაწესება პრიამურის მხარეში უცხოეთიდან შემოტანილ სავაჭროზე.

პეტერბურგი, 4 ოქტომბერი. შავი-ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია იუწყება, რომ პროდოსლავის მხარეში 2 ოქტომბერს ორი კაცი გახდა ავად ხოლერით. პორტ-საიდი უშიშრად არის აღიარებული შავი-ჭირისაგან.

სმოლენსკი, 4 ოქტომბერი. მოხდა გუბერნიის ქალაქის თავთა რჩევა, რომელიც ეხება ამომრჩევლობით ტექნიკის საკითხს.

პეტერბურგი, 4 ოქტომბერი. სამხედრო ოლქის სასამართლოში ირჩეოდა საქმე ნოვოჩერკასის ყაზახთა იუნკრის სასწავლებლის პოდესაულის აბრამოვისა, რომელმაც აზრიდან მოჰკლა გენერალურ შტაბის პოდპოლკოვნიკი ვოშინსკი და დააპირა თავის თავის მოკვლა. სასამართლომ დამნაშავედ სცნა აბრამოვი, და გადაუწყვიტა ტუსაღთა განყოფილებაში ჩარიცხვა 3 წლით და 9 თვით.

საერო განათლების სამინისტროში მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყო კომისიის მუშაობა საშუალო სკოლების რეფორმის შესახებ.

ბელგრადი, 4 ოქტომბერი. მეფემ გახსნა სკუპშჩინა, სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ მემკვიდრე ნაციონალურ ნიადაგზე არის აღზრდილი. შემდეგისთვის სერბია მიიღებს მეფეს, რომელსაც ეცოდინება თავისი ვალდებულებანი. ამავე სიტყვაში გატარებულია მშვიდობიანი დამოკიდებულება ავსტრო-უნგრეთსა, რუსეთსა, ჩერნოგორიასა და ბულგარეთთან; მოხსენებულია აგრეთვე მაკედონიის გაჭირვებული მდგომარეობა, რასაც, ევროპის რეფორმების წყალობით, თავს დააღწევს მაკედონია.

4 ოქტომბერი

მოსკოვი. სტამბების, მექანიკოსის, დურგლებისა, თამბაქოსი და სხვა წარმოებათა ამქრების დეპუტატთა კრებამ დაადგინეს, დაარსონ მთელი მოსკოვის მუშების საერთო საბჭო. ტრუბეცკოის დასაფლავების შემდეგ გამართული დემონსტრაცია დაწვრილებით ასე მოხდა: კამენნი ხიდთან იდგა ქვეითი და ცხენოსანი დარაჯები, რომელნიც ქალაქისკენ არ უშვებდნენ დემონსტრანტებს; უკანასკნელებმა ფანჯრების მტვრევა იწყეს სახლებში და ქვები დაუშინეს ყაზახ-რუსებს, მოხდა შეტაკება. ყაზახ-რუსები გარს შემოეხვივნენ დემონსტრანტებსა და გაჰფანტეს იგინი, ნაწილი კი გზაში შერეკეს და დაიჭირეს 20-ზე მეტი კაცი. ბრესტის გზის მუშები ხელახლა შეუდგნენ მუშაობას. კავშირის მოწოდება რკინის გზის ყველა მუშების გაფიცვის სასარგებლოდ, ფუჭად ჩაიარა. კავშირთა სიეზდებს გარდა ოქტომბერში გაიმართება ქალების სიეზდიც. საერთო პროგრამა სახელმწიფო სათათბიროში წევრების არჩევნებია.

ოდესა. ბირჟის კომიტეტი სწრაფად შეიკრიბა ქალაქის სადგურებზე მომუშავე დამტვირთავ-გადმომტვირთავ მუშების მოთხოვნების განსახილველად.

ოპატოვი. ოსტროვეცის სამთო-მადნო ქარხნების მუშებს, 8 აგვისტოს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დატუსაღება გარდაუწყვიტეს: 13-ს 3 თვით, 12-ს 2-ით, 28-ს ერთის დღე-ღამით და 4-ს ერთის კვირით.

პეტერბურგი. დინევიჩს უმაღლესად ებოძა გენ.-ადიუტანტობა და ამავე თანამდებობაზე იქნა დატოვებული.

სოლვიჩეგოდსკი. საერობო კრებაზე დაადგინეს, 25—25 მან. მისცენ თვითეულ ამომრჩეველ გლეხს, რომელიც ვოლოგდაში გაიგზავნება.

ვარშავა. პროფესორ ვულფსონს მის მიერ „სინ ოტეჩესტვა“-ში დასტამბულ წერილისათვის ამ ხანებში ჯგუფმა განკიცხვა გამოუცხადა მეორე ჯგუფმა-კი, რომელსაც აუცილებლად საჭიროებად მიაჩნია რეფორმების შემოღება, თანაგრძნობა. უნივერსიტეტის საბჭომ უარი უთხრა რუს სტუდენტებს სხვა უნივერსიტეტებში გადაყვანაზე.

ხუჯა. შემდეგი განაჩენი წარმოადგინა ზასლოშენკის გლეხების საზოგადოებამ საერობო კრებაზე და მოითხოვა მისი სახელმწიფო სათათბიროში წარდგენა: გლეხების გათანასწორება დანარჩენ მცხოვრებლებთან უფლებებში, მათთვის ფართო თვითმართველობის მინიჭება წვრილი საერობო ერთეული, ჭირნახულით ბეგარის მოხსნა, შემოსავლის გადასახადის შემოღება, თავის დასახსნელ გადასახადის მოხსნა, უმიწო გლეხებისათვის სახელმწიფო, მონასტრების და კერძო მიწების დარიგება, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება და სამღვდელო პირების არჩევითი სისტემა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
4 ოქტომბერი.

პოლტავა. ზენკოვის საერობო კრებაზე დაადგინეს, იშუამდგომლონ, ერობას დაუბრუნდეს საკვებ მასალის საქმეების მართვა-გამგეობა.

ორიოლი, 4 ოქტომბერი. გრანოვსკის ნახევარ საუკუნის წლის თავისა და ტრუბეცკოის გარდაცვალების ხსოვნის აღსანიშნავად საბჭომ დაადგინა სამოქალაქო სკოლა გახსნას გრანოვსკის სახელზე და 100 მანეთიანი სტიპენდია დაარსოს იქ ტრუბეცკოის სახსოვრად; ამას გარდა გრანოვსკის სახელი დაერქვა იმ ქუჩას, სადაც დაიბადა გრანოვსკი.

ქრისტიანია. ნორვეგიაში რესპუბლიკის შემოღების სასარგებლოდ გამართული აგიტაცია დამარცხებით გათავდა.

ვენა. იმპერატორმა საზოგადო კრებაზე მიიღო ფეიერვარის პროგრამა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების შესახებ იმ განსაზღვრით, რომ ინტელიგენტებსა და შეძლებულ კლასებს მიეცეთ ორკეცი ხმა და ბელგიის მრავალჯერი საარჩევნო უფლება. ფეიერვარის განზრახვა აქვს, დააარსოს ახალი პარტია კოალიციურ პარტიის მოსასპობად უნგრეთში. მოელიან, რომ პალატას დაითხოვენ და ახალ არჩევნებს გამართავენ.

კონსტანტინოგრადი. გაიმართა მიწათმფლობელებისა და გლეხების თათბირი, რომელზედაც უნდა ისჯა-ბაასონ სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევნებზე. კრებამ უკუაგდო მოსკოვის სიეზდის პროგრამა, განსაკუთრებით, ფედერალიზმი, რომელსაც რუსის სახელმწიფოებრივის საფუძვლის დანგრევა სურს. მოსკოვის სიეზდის მონაწილეებმა, შეიდმანმა და გრინევიჩმა აქ უარი სთქვეს სიეზდის რეზოლუციაზე. წინადადება შეიტანეს სიეზდის მონაწილეებისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, რათა არ მისცენ მათ საშუალება სათათბიროში არჩევისა. კრებამ საკუთარის პროგრამის შემუშავება გადასწყვიტა მოსკოვის რეზოლუციის საწინააღმდეგოდ.

ვენა. ხორვატების გაზეთი აუწყებს, რომ იტალიისა და ჩერნოგორიის შორის შეთანხმება მოხდა სავაჭრო კავშირის შესახებ. იტალიამ, ეხლა-ხან, 40 ზარბაზანი გაუგზავნა ჩერნოგორიას.

5 ოქტომბერი

პეტერჰოფი. 5 ოქტომბერი. უმაღლესის ბრძანებით გაუქმებულ იქმნა ოდესაში ივნისის ამბების გამო შემოღებული ომიანობის დროის წესები.

ვაშინგტონი. აქ შეწუხებული არიან იმით, რომ ინგლისსა და ამერიკას შორის ურთიერთობის გამწვავებას მოელიან სათევზაო ადგილების შესახებ.

სტანბოლი. პორტასა და ინგლისის საელჩოს შორის ძლიერ გართულდა ურთიერთობა სმირნა-აიდანის რკინის გზის საკითხის გამო, რომლის გაგრძელებას გერმანია ცდობს წინ. ამბობენ, ინგლისის მთავრობამ გარდასწყვიტა, ულტიმატუმი წარუდგინოს პორტას.

რეგულიარულ ჯარების ერთი რაზმი დაეცა ერთ სოფელს მაკედონიაში, დაარბია მცხოვრებლები, ტყვედ წაასხა რამდენიმე მათგანი და შემდეგ დახვრიტა ყველანი.

დიპლომატების აზრით, სულთანი დათანხმება საერთაშორისო კონტროლის შემოღებას მაკედონიის ფინანსებისთვის, მიუხედავად თავის გადაჭრილ უარისა.

კოპენჰაგენი. პრინც კარლოსის ნორვეგიის მეფედ არჩევის საკითხი გარდაწყვეტილია. გემებს უბრძანეს გამზადონ ნორვეგიაში პრინცის გასამგზავრებლად.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 სექტემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	45,81½
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,87½
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	5¼—6½
4% სახელმწიფო რენტა	88½
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84,3/8
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	460¼
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	350½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	285½
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	90⅛
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	80¼
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	83⅝
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	86
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	201

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტს სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/71 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ.-გზავ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს.ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 929/3 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადის მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის ვალის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის **სამკერვალოში** მიიღებენ ქალების და ბავშვების კაბებს შესაკერათ

იქვე მიიღებენ თეთრეულს შესაკერათ და ინიშნების ამოკერვას. ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 4 (უ.—5—3)

ახლად კურს დამთავრებული ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში კისრულობს ასწავლოს **ჭრა-კერვა**, სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ.

ქუთაისი, ივანოვის ქ. ექვთ. ჯანგავაძის სახ. მ. ყიფიანისა. (15—389—3)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

(60—24)

Доз. ценз. Тифлисъ, 5 Октября 1905 г.

Тип. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა